კომერციალიზაციის შედეგად, „რემიქსირებული“ ტრადიციული ფორმები ინტერნეტში თავის პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს, ხოლო თანამედროვე კულტურა სწრაფად იკავებს მის სივრცეს. ტრადიცია ადაპტირდება ციფრულ გარემოში, მაგრამ ხშირად ორიგინალურობას კარგავს. თანამედროვე კულტურა ტრადიციას ითვისებს, მხოლოდ მას, მეტწილად, კომერციულ და ვიზუალურ განზომილებაში აქცევს. „კრეატიული კლასი ინოვაციაზე ყალიბდება, კულტურის წარმოებას სოციალური ღირებულების წყაროდ

12 Bhabha, The Location, 1994, pg. 211

გარდაქმნის“ (The creative class thrives on innovation, transforming cultural production into a source of economic and social value).¹³

ყველამ ვიცით, რომ დღევანდელ დრო-სივრცულ განზომილებაში, XXI საუკუნის 20-იან წლებში, ციფრული სივრცე იდენტობის ერთ-ერთი მთავარი არენა გახდა. სოციალურმა მედიამ, ვირტუალურ რეალობებთან ერთად, პიროვნული და ჯგუფური თვითგამოხატვის ახალი ფორმების შექმნა-გამოყენების საშუალება მოგვცა. მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი და სოციოლოგი **შერი ტერკლი** (Sherry Turkle, 1948) აღნიშნავს, რომ: „ტექნოლოგია ჩვენს იდენტობებს არამხოლოდ ონლაინ ქცევით ქმნის, არამედ იმიტაც, სხვებთან ურთიერთობისას როგორ აღვიქვამთ საკუთარ თავს“ (Technology shapes our identities not only by what we do online, but by how we think of ourselves when we are with others)¹⁴ ეს ციტატა ხაზს უსვამს იმას, რომ იდენტობა მხოლოდ ეთნიკური, ეროვნული კატეგორია კი არ არის, არამედ გლობალური, ციფრული და, თანაც, მრავალმხრივი კონსტრუქციაა. ეს მუდმივი პროცესია, მრავალშრიანი, ისტორიულ უწყვეტობას, ინოვაციას, გლობალურ გავლენებს და ციფრულ ტექნოლოგიებს რომ აერთიანებს.

ეკონომიკურ-კომერციულ ასპექტს რაც შეეხება, უნდა გავიაზროთ, რომ კულტურული მემკვიდრეობა ხშირად, თანამედროვე პირობებში, ეკონომიკურ ინტერესებს ექვემდებარება. ამაში იგულისხმება, პირველ რიგში, ტურიზმი, სუვენირების წარმოება და ასე შემდეგ. ასეთ დროს, ინოვაცია აუცილებელია, რადგან მოთხოვნა მუდმივად ცვალებადი და სწრაფად განვითარებადი. მაგალითად, ქართული ხელნაკეთობები, საერთაშორისო ბაზარზე, თანამედროვე დიზაინითა და ბრენდინგის საშუალებით გადის. ან ქართული ღვინო, რომლის დამზადება ტრადიციების დაცვით ხდება, ხოლო ბაზარზე, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მარკეტინგი მუშაობს. აქ დადებითი მხარე ისაა, რომ ინოვაცია ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფს, ხოლო უარყოფითი მხარეა, ავთენტურობასა და ტრადიციის მოთხოვნასთან შესაძლო კოფლიქტი. მაგრამ აქ ჩნდება გარდასახვის მომენტი, რომელიც მხოლოდ კულტურული კი არა, სოციალური და ეკონომიკური პროცესიცაა. მარკეტინგი, კომერციალიზაცია, საერთაშორისო ინიციატივები ტრადიციული კულტურის თანამედროვე სამყაროს-

13 Florida, The Rise, 2002, pg. 78.

14 Turkle, Alone Together, 2011, pg. 152.

თან ადაპტაციას ხელს უწყობს. „კულტურის ფორმები ბაზრის მოთხოვნებზე მუდმივად გადაეწყობა, ტრადიციასა და ინოვაციას შორის დინამიკურ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთგაგებას ქმნიან“ (Cultural forms are constantly reconfigured to meet market demands, creating a dynamic interplay between tradition and innovation).¹⁵

ძალიან მნიშვნელოვანია **იდენტობის საკითხი**, რომელსაც სხვადასხვა კუთხით უკვე შევეხეთ და გვინდა კვლავ დავუბრუნდეთ. აღსანიშნავია, რომ კულტურის იდენტობის მოქნილობა შემოქმედებითობას და კულტურულ მრავალფეროვნებას ზრდის. ხოლი მისი ფრაგმენტაცია – გაურკვევლობას, სოციოკულტურულ დაპირისპირებას, კრიზისს იწვევს. გამოდის, რომ კულტურის იდენტობა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ან სტაბილური მოცემულობა არაა, იგი ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთდაპირისპირების ფონზე გარდაიქმნება ტრანსნაციონალურ და ციფრულ ფორმებში და გლობალური კულტურის გამოწვევების დინამიკას ასახავს. „მემკვიდრეობა მხოლოდ წარსული როდია, ის იდენტობის და სოციალური კოესიონის რესურსია აწმყოში“ (Heritage is not merely the past, but a resource for identity and social cohesion in the present).¹⁶ ამის მაგალითია ისტორიული მემკვიდრეობის მქონე ქალაქების შენარჩუნება ტურიზმის კონტექსტში, როცა მემკვიდრეობითობა გარდასახვით ეკონომიკურ აქტივობებს ემსახურება, მაგრამ ხშირად ეს ავთენტურობის მოთხოვნასთან დაპირისპირებას იწვევს, რადგან ცვლილება განახლებას და ექსპერიმენტს ითხოვს. მაგრამ მათი სონთეზი ჰიბრიდულ კულტურის პროდუქტს ქმნის და ამით, კულტურას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს.

ვიდრე ამ ასპექტების მიხედვით ამჟამინდელ ქართული კინოს გამოწვევებს განვიხილავთ, ზემოთ მოცემული საკითხების მცირე შეჯამება გავაკეთოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ XXI საუკუნის 20-იან წლებში ტრადიცია მხოლოდ წარსულის სიმბოლო აღარ არის, ის აქტიური მოთამაშეა, რომელიც ცვლილებას და შერწყმას განიცდის, ის ცოცხალ პროცესად იქვევა, ადაპტირდება და თანამედროვეობაში ინოვაციურად მონაწილეობს. „ძველის“ და „ახლის“ ურთიერთობა მრავალმხ-

¹⁵ Tomlinson, Globalization, 1999, pg. 88.

¹⁶ Smith, Uses, 2006, pg. 45.

რივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც ვლინდება როგორც - კულტურათა კონფლიქტში, ისე გარდასახვასა და ინოვაციებთან სინთეზში, რაც ახალ ეკონომიკურ და კულტურულ სტრუქტურებს ქმნის.

ტრადიცია სტაბილურობის განცდას გვაძლევს, თანამედროვეობა კი ცვლილებების სივრცეს, სადაც უნივერსალიზმსა და ინდივიდუალიზმს მიმართავს. დღეს ინოვაცია მარტო ტექნოლოგიური, არამედ სოციალური და კულტურული პროცესების მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა. მაგრამ დილემა მაინც დაგვრჩა: ადამიანებს აღარ აქვთ ერთიანი და სტაბილური თვითაღქმა და მთავარი - ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ხელოვნება - AI art, რომლისადმი ჩნდება კითხვა: **რა არის ტრადიციული, კულტურული მემკვიდრეობა მაშინ, როცა კულტურის პროდუქტებს შეიძლება ადამიანური ავტორი აღარ ჰყავდეთ?!**

ახლა ქართული კინოს მაგალითი განვიხილოთ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ტრადიციისა და თანამედროვეობის დაპირისპირების და გარდასახვის პროცესშია.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული კინო XX საუკუნის განმავლობაში როგორც ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი და მთავარი ფორმა თავისი ტრადიციული თემატიკით, ესთეტიკური თავისებურებებით. საუკუნეზე მეტია ის მხატვრული თვითგამოხატვის უმაღლეს გამოვლინებას და ეროვნული იდენტობის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს. „ოქროს ხანად“ მიიჩნევა 1960-1980-იანი წლები, როცა ტოტალური ცენზურის მიუხედავად, ისეთი ფილმები შეიქმნა, როგორებიცაა: თენგიზ აბულაძის „მონანიება“ (1984), ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“ (1966), ელდარ შენგელაიას „მიქელა“ (1963), რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ (1964) და სხვა.

ამ პერიოდში ქართული პოეტური კინო მხოლოდ ესთეტიკური ექსპერიმენტი არ ყოფილა, არამედ საბჭოთა ცენზურის პირობებში დაფარული, ალევორიული, კოდირებული პოლიტიკური და კულტურული კრიტიკა იყო. ეს კლასიკური მაგალითია, სადაც ტრადიციული თემატიკა ახლებურად წამოადგენდა საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს, ტრადიციული ფორმები თანამედროვე იდენტობის ასაგებად, შესაქმნელად გამოიყენებოდა.

ეს ფილმები ეროვნულ - კულტურულ იდენტობას ასახავდა, არსებული საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიტიკული იყო და ამას,

ალეგორიულად, სიმბოლოებით აკეთებდა, რაც ძველი ტრადიციული ქართული კინოს ხელწერაა. რეჟისორები ეროვნულ თვითმყოფადობას ეკრანზე ასახავდნენ, რაც საერთო კულტურული „სარკე“ იყო. უდიდესი წარმატებების შემდეგ, 1990-იან წლებში, ქართული კინო ფინანსური კრიზისისა და ინსტიტუციონალური კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა, XXI საუკუნეში განვითარების დინამიკის ახალი, სხვა ფაზა დაიწყო.

ქართული კინოს თანამედროვე წარმომადგენლები ინტენსიურად უკავშირდებიან საერთაშორისო ფესტივალების ქსელებს – ბერლინალე, კანი, კარლოვი ვარი და სხვა.

ახალი ქართული კინოს სტილის თავისებურებები მრავალფეროვანია: მინიმალიზმი, რეალიზმი, დოკუმენტური, ციფრული ფორმატები და ასე შემდეგ. მაგალითად: **ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“** (In Bloom, 2013, 1990-იანი წლების თინეიჯერთა ამბავი), **ალექსანდრე კობერიძის „რას ვხედავთ როცა ცას ვუყურებთ?“** (2021, პოეტური, ექსპერიმენტული ფორმა თანამედროვე ქალაქის კონტექსტში), **დეა კულუმბეგაშვილის „დასაწყისი“** (Beginning, 2020, ძალადობისა და ქალის გამოცდილების თემატიკით). თანამედროვე ქართული კინო შეიძლება ჰიბრიდული იდენტობის მაგალითად შევაფასოთ, რადგან არის მცდელობა ძველი ტრადიციების ელემენტების შენარჩუნებისა, მაგრამ ახალი თემებით და გარდაქმნილი ფორმებით.

ქართული კლასიკური, ტრადიციული კინოხელოვნება ემოციური და სენტიმენტალურია, რომელსაც, ამის გამო, ახალგაზრდა თაობის რეჟისორები ნოსტალგიურად ხედავენ. ისინი უარს ამბობენ მხოლოდ „ეროვნულობის“ ხაზზე და გლობალურ სივრცეში ჩაწერას ცდილობენ. თუმცა, „ძველის“ გამოძახილი, რაღაცა დოზით, თანამედროვე ქართულ კინოში მაინც რჩება, აგრძელებს ტრადიციულ ფესვებს თანამედროვე პრობლემატიკით.

დღეს, გლობალური კინოინდუსტრია „გლობალური ბაზრის მსხვერპლია“, ამიტომაც საკუთარ ნიშას ეძებს.

მოკრძალებულად შეგახსენებთ, რომ ქართული კინოს დაბადების ისტორია 1908 წელს იწყება, როდესაც რეჟისორმა ვასილ ამაშუკელმა ბაქოში ფილმების გადაღება დაიწყო, ხოლო შემორჩენილი პირველი ფილმია 1912 წელს გადაღებული **„აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“**. ამ ადრეულ ეტაპზე, კინომ ეროვნული კულტურის დოკუმენტირების ფუნქცია შეითავსა. საბ-

ჭოთა პერიოდში კი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ მთავარ ნარატივად იქვა, სადაც ადგილობრივი თემატიკა, ფოლკლორი, ისტორიული ტრავმები ეკრანზე გადაიტანა.

ქართული კინოს განვითარების მკვლევარი დუშან რადუნოვიჩი 2014 წელს აქვეყნებს თავის კვლევას „შეუდარებელი დისტანცია: ეროვნული იდენტობის ვერსიები ქართულ საბჭოთა კინოში“ (Incommensurable distance: versions of national identity in Georgian Soviet cinema), რომელიც academia.edu-ზე აღმოვაჩინეთ, სადაც ავტორი ქართულ კინოში იდენტობის ფორმირების მრავალფეროვანი სტრატეგიების კვალის აღმოჩენას ცდილობს და უმცირესობათა იდენტობის გამოვლინებებს შეისწავლის საბჭოთა კინოს მკვეთრად ტრანსნაციონალურ კონტექსტში.

როგორც აღვნიშნეთ, 1990-იან წლებში კულტურული და ეკონომიკური კრიზისის ხანა დაიწყო, რაც გამოიხატა კინოსტუდიების დაშლაში, დაფინანსების თითქმის შეწყვეტაში, რამაც განვითარების პროცესი საგრძნობლად შეაფერხა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ პერიოდში დამოუკიდებელი, ექსპერიმენტული კინოს ახალი ტალღა ჩნდება. „პოსტ-საბჭოთა ქართულმა კინომ თავდაპირველად განიცადა სახელმწიფო სტრუქტურების კოლაფსი, თუმცა, ამ ვაკუუმმა ალტერნატიული ხმების გაჩენის შესაძლებლობაც შექმნა“ (Post-Soviet Georgian cinema initially suffered from the collapse of state structures, yet this vacuum also created the possibility for alternative, independent voices).¹⁷

2000-იანი წლებიდან ქართული კინო თანდათან ინტეგრირდება გლობალურ ფესტივალურ ქსელში. ახალგაზრდა რეჟისორებმა: **ლევან კოლუაშვილმა, დიმიტრი ცინცაძემ, დეა კულუმბეგაშვილმა, რუსუდან გლურჯიძემ, თინათინ ყაჯრიშვილმა** და სხვებმა ფილმები შექმნეს, რომლებიც ეროვნული სპეციფიკის შენარჩუნებით გლობალურ ნარატივში თავსდება: „თანამედროვე ქართული კინო ადგილობრივ კულტურულ კოდებსა და გლობალურ კინემატოგრაფიულ ენას შორის მოლაპარაკებებს აწარმოებს და ქმნის ჰიბრიდულ ნარატივებს, რომლებიც საერთაშორისო რეზონანსს პოულობს“ (Contemporary Georgian cinema negotiates between local cultural codes and global cinematic language, creating hybrid narratives that resonate internationally).¹⁸

¹⁷ Tsopurashvili, Modifications, 2016.

¹⁸ Radunovic, Incommensurable, 2013.

მიუხედავად საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გარკვეული წინსვლისა და წარმატებისა, დღეს სფეროში, რეალურად, მძიმე და კრიტიკული ვითარებაა. ყველამ კარგად ვიცით, რომ კულტურის სფეროს დაფინანსება ისედაც მცირეა. რასაკვირველია, რთულია კინოწარმოებაც თავისი ძვირადღირებული სპეციფიკიდან გამომდინარე. კანონმდებლობაც ვერ მუშაობს სათანადოდ, რადგან კანონი კი არსებობს, მაგრამ მისი აღსრულებაა საჭირო.

ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო დონეზე, დოკუმენტურმა კინომ დიდ წარმატებებს მიაღწია. კინოინდუსტრიის წარმომადგენლების თქმით, 2024 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა. ქართულ კინოს საერთაშორისო დონეზე ბევრი წარმატება ჰქონდა, თუმცა, ამავდროულად, ეს ყველაფერი ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების ფონზე მეორეხარისხოვანი გახდა.¹⁹ არაერთი კრიტიკული სტატიაც დაიბეჭდა. მაგალითად, მანანა ლეკბორაშვილის²⁰ კრიტიკული მასალა ჟანრულ კინოზე, გიორგი გვახარიას²¹ სტატია კინორეჟისორების შემოქმედებით კრიზისსა და ცნობიერების შეცვლაზე და სხვ.

ეს ყველაფერი კარგია, მნიშვნელოვანია, ოღონდ მთავარია, ქართული კინოს ამ ურთულესი გამოწვევების ფონზე, წარმატება და წინსვლა შევინარჩუნოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გვახარია გ., ქართული კინო – რაოდენობა თუ ხარისხი?, 2009. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1878610.html> 30/10/2025.
- დოლიძე გ., ქართული კინო გუშინ და დღეს, კინემატოგრაფიული ძიებანი, ხელოვნება, 1985.
- კობლატაძე თ., ქართული კინო 2024 წელს, 2025. <https://euronews-georgia.com/2025/01/05/qartuli-kino-2024-wels/> 30/10/2025.
- ლეკბორაშვილი მ., თანამედროვე ქართული კინემატოგრაფი და ჟანრული კინო. კითხვები და ვარაუდები, 2018. <https://georgian-cinema.ge/index.php/ge/2015-04-01-05-23/981-2019-03-01-11-00-21> 30/10/2025.
- Appadurai A., Modernity at Large: Cultural Dimensions of Globalization, Minnesota, 1996.

¹⁹ კობლატაძე, ქართული, 2025.

²⁰ ლეკბორაშვილი, თანამედროვე, 2018.

²¹ გვახარია, ქართული, 2009.

-
-
- Bhabha H. K., *The Location of Culture*, London, 1994.
 - Bauman Z., *Liquid Modernity*, Cambridge, 2000.
 - Castells M., *Communication Power*, Oxford, 2009.
 - Campbell H., Tsuria R., *Digital Religion: Understanding Religious Practice in Digital Media*, London, 2021.
 - Comaroff J., Comaroff J., *Ethnicity, Inc.*, Chicago, 2009.
 - Denise J., *Youngblood, Movies for the masses: Popular cinema and Soviet society in the 1920s*, Cambridge, 1992.
 - Florida R., *The Rise of the Creative Class: And How It's Transforming Work, Leisure, Community and Everyday Life*, New York, 2002.
 - Geertz C., *The Interpretation of Cultures*. New York, 1973.
 - Hall S., *Cultural Identity and Diaspora*. In *Identity: Community, Culture, Difference*, London, 1990.
 - Hall S., *Questions of Cultural Identity*, London, 1996.
 - Harrison R., *Heritage: Critical Approaches*, London, 2013.
 - Hobsbawm E., Ranger, T., *The Invention of Tradition*, Cambridge, 1983.
 - Howkins J., *The Creative Economy: How People Make Money from Ideas*, London, 2001.
 - Jenkins H., *Convergence Culture: Where Old and New Media Collide*, New York, 2006.
 - Maziashvili N., *Contemporary Georgian Cinema: Between Tradition and Modernity*, *Studies in Eastern European Cinema*, 10(3), 2019, pp. 245–261.
 - Radunovic D., *Incommensurable Distance: Versions of National Identity in Georgian Soviet Cinema*, 2014. https://www.academia.edu/123913893/Incommensurable_distance_versions_of_national_identity_in_Georgian_Soviet_cinema 30/10/2025.
 - Robertson R., *Globalization: Social Theory and Global Culture*, London, 1992.
 - Radunovic D. (2013), *Incommensurable distance: Georgian cinema as a (trans)national cinema*.
 - Smith L., *Uses of Heritage*, London, New York, 2006.
 - Tomlinson J., *Globalization and culture*, Chicago, 1999.
 - Turkle Sh., *Alone Together: Why We Expect More from Technology and Less from Each Other*, New York, 2011.
 - Tsitsishvili N., *The Poetics of Georgian Cinema: National Identity and Cultural Memory*, *Slavic Review*, 69(4), 2010, pp. 880–902.
 - Tsopurashvili S., *Modifications of Women's Representations in 1920s Georgian Soviet Silent*, 2016.
 - Georgian Film Industry. <https://georgia.to/en/georgian-film-industry/> 30/10/2025.
-
-

გვანცა მეფარიშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, კულტურა მედიაში.

ხელმძღვანელები: სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე;
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ტრაპაიძე

რეზიუმე

დროის კონტექსტიდან გამომდინარე, სატელევიზიო დოკუმენტური კინოს ისტორიული რეალობა ხშირად სრულადაა დამოკიდებული სოციალურ-პოლიტიკურ გარდატეხებზე, რაც ნათლად აჩვენა ქართული სინამდვილის 90-იანმა წლებმა. ამ პერიოდის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის რეალიზება ტექნიკურად ბევრად უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდა, ვიდრე მისი ზოგადი მხატვრული კონცეფციის მოძიება, ვინაიდან გარდატეხები სოციუმში, ფორმირდებოდა, კინოს დაფინანსების სისტემებში და დანქარებით მიმდინარეობდა.

90-იანი წლების დასაწყისი საქართველოს კინოწარმოებისთვის მძიმე გამოცდა იყო, ხოლო დოკუმენტალისტებისთვის ინოვაციის ძიების პერიოდი. გადაწყვეტილებები უმეტესწილად საპოტანურად მიიღებოდა, ამიტომ ორი მაგალითი, რომელთა შინაარსი და ფორ-

მაც თვითდინებით მონათხრობი ქართული საზოგადოების რეალობაა და მისი ისტორიად ქცეული სოციალურ-პოლიტიკური ფონი, განსაკუთრებით ნათლად მეტყველებს დოკუმენტური სატელევიზიო ფილმის კანონზომიერ გარდაქმნაზე, ძიების აუცილებლობაზე, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში.

ეს, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი საწყისი პერიოდი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ ჟანრული და ფორმისეული ნაზავის ბუნებრივი იერი გამოავლინა. ამ პერიოდის დოკუმენტურ პროდუქტს უკავშირდება ნამუშევრები, რამდენჯერმე მოხდა გამოკითხვების, პორტრეტების, აქამდე უჩვეულო სოციალური რეალობის ქაოტური მხატვრული აღრევა, რაც სავსებით ბუნებრივად ქმნის ეპოქის პორტრეტს.

90-იანი წლების საბელევიზიო დოკუმენტური ფილმი და დროის კონტექსტი

*საკვანძო სიტყვები: კინო, მედია, პროპაგანდა,
იდეოლოგიური კინო, ტელევიზია, რეჟისორი.*

დოკუმენტური კინო ჟურნალისტიკისა და ვიზუალური ხელოვნების, ტელევიზიისა და კინოს, დრამის დარგების სინთეზია, მაგრამ ტელევიზიისთვის ის, ამ სინთეზთან ერთად, თანამედროვეობის ყველაზე მძაფრი და დომინანტური პრობლემის მატარებელ მოვლენად შეიძლება იქცეს. გამოწვევის ვერ იქნება საქართველოში შექმნილი სატელევიზიო ფილმიც, რომლის ტრადიციაც დღეს თანამედროვე ხელოვნების სინთეზური აღქმის ერთ-ერთი მაგალითია, თუმცა, ამ პროცესშიც არსებობს პრობლემები და ისინი ყოველთვის უკავშირდება ისეთ ზოგად განმაპირობებელს, როგორიცაა, მაგალითად, კონკრეტულად ერთი ტელეკომპანიისთვის, მისი ინტერესიდან, პრიორიტეტიდან გამომდინარე არსებული აქცენტები.

რატომ შეიძლება ეს იქცეს პრობლემად, ნათლად დავინახავთ, თუ გავისვენებთ, საქართველოს ტელეფილმების (1955-2003) არსებობის მანძილზე, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესს - პორტრეტებისა და რეგიონის ქრონიკა-დოკუმენტურ, არასადადგმო ფორმით აგებულ კინოტელემატიანეს. რასაკვირველია, ეს ვრცელი პერიოდია და პროცესულურად იძლევა ვრცელი ანალიზის საშუალებას.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად მუშაობდა კინოსტუდია „მატიანე“, რომელსაც პირდაპირ ევალებოდა დოკუმენტური ფილმისა და ქრონიკის შექმნა ისტორიულ თემაზე. თუმცა, სატელევიზიო კინოს არსებობა და თავად ამ სტუდიაში შექმნილი დოკუმენტური მიმართულება იმდენად მრავალფუნქციური აღმოჩნდა, რომ სწორედ ის, საბჭოთა პერიოდში მოქმედი დოკუმენტური ფილმი, გახდა დამოუკიდებლად, ნებისმიერი მიმართულებითი მითითებისაგან განყენებული მოვლენა, სადაც ავტორები, გარდა ხედვისა, თავისუფლად რეაგირებდნენ საკუთარი აზრის გამოთქმის ასპექტებშიც.¹

1 დანართი #1. ინტერვიუ კინორეჟისორ მერაბ კოკიაშვილთან: „წლის განმავლობაში დაახლოებით 15-17 სატელევიზიო ფილმის წარმოება ხდებოდა, ვგუ-

ბუბა და ქართლოს ხოტივარები, გურამ პატარაია, კარლო ლლონტი, გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი, ლერი სიხარულიძე, სოსო ჩხაიძე, მიხო ბორაშვილი, მერაბ კოკოჩაშვილი, მიხეილ ბასინოვი – რეჟისორების ეს თითქმის ორი თაობა და მოგვიანებით 1990-იან წლებში მომუშავე რეჟისორებიც, სოციალური სინამდვილის ასახვას ტენდენციური იდეოლოგიური წნეხის გარეშე ახერხებდნენ. თითქმის ყველა მათგანისთვის სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა იქცა ერთგვარ ლაბორატორიად, რის შედეგადაც ისინი განაცხადს უკვე საავტორო დოკუმენტური თუ მხატვრული კინოს შექმნაზე აკეთებდნენ.

საინტერესო ისაა, რომ მიხეილ ბასინოვის, მიხო ბორაშვილის 1991 წელს შექმნილი „საქართველოს ქრონიკები“ (დოკუმენტური სატელევიზიო ქრონიკა) და ოთარ იოსელიანის დოკუმენტური ფილმი „საქართველო“ (1994),² ასევე თემურ ფალავანდიშვილის „სამანი“ (1990), იმ პროცესის ნაწილია, რომელმაც ჟურნალისტიკისა და ხელოვნების, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიის, პუბლიცისტიკისა და ეკრანული დრამის სინთეზის უწყვეტი კავშირი გვიჩვენა. სწორედ ამ დროს შეიძინა დოკუმენტური კინოს თხრობის ტემპო-რიტმმა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ქართული სატელევიზიო დოკუმენტური კინოს ეს მაგალითები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ისინი დოკუმენტური კინოს ორი ტიპის ძირეულ განშტოებას წარმოადგენს, სამივე შემთხვევაში. მათგან, თითოეულს თავისი დამახასიათებელი ნიშნები და თვისებები აქვს. მიხო ბორაშვილისა და მიხეილ ბასინოვის საავტორო დოკუმენტური კინოს ქრონოლოგია არ არის თანმიმდევრული თხრობითი ფორმა და ის ტელემაყურებლის დამახასიათებელ, აღქმით, განწყობით ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამ დოკუმენტურ ფილმებს, ქრონიკის ნაწილში შესაძლებელია აკლია მთელი რიგი თვისებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მაყურებლის ყურადღების შენარჩუნებაში, მაგრამ ეკრანზე გამოტანილ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, სამივე შემთხვევაში (ოთარ

ლისხმობს ორივე ჟანრს; თუმცა დოკუმენტური უფრო მეტი კეთდებოდა, ხანდახან 12-იგ კი და აქედან ვალდებულების თემატიკა 70 პროცენტს არ სცდებოდა, დანარჩენი 30 პროცენტი, ეს იყო, როგორც ვამბობდით, სიმართლის პროდუქტი, ის რისი გადაღებაც გულით გვინდოდა. ეს, მე ვფიქრობ, იმ პატრიოტი მეთაურების დამსახურებაა, რომლებიც სათავეში ედგნენ სხვადასხვა დროს ამ სატელევიზიო სტუდიებს“.

2 გლურჯიძე, ბედოშვილი, გაუჩინარებული, 2024.

იოსელიანის ფილმიც იგულისხმება), ახასიათებდა და დღესაც ახასიათებს (მიუხედავად ამ ფილმების მაინც სოლიდური ასაკისა) მრავალშრიანი კინემატოგრაფიული ენა, რომელიც ნებისმიერი ამ ავტორის სატელევიზიო რიტმულ-დინამიკურ მონტაჟურ ხედში, წარმოადგენს გამოხატვის საშუალებების, კოდების, ნიშნების, სურათების, მონტაჟისა და მათ შორის სემანტიკური საკომუნიკაციო ვარიაციების რთულად აგებულ სისტემას.

ფაქტი, რომ საავტორო კინოდოკუმენტალისტიკისაგან განსხვავებით, 90-იანი წლების ტელეწარმოების ავტორებს არ გააჩნდათ ხედვითი მრავალფეროვნებისთვის აუცილებელი ტექნიკური ბაზა, მაინც არ აისახა ხარისხობრივად სატელევიზიო დოკუმენტურ კინოზე, თუმცა თავად თემატური და ქვეთემატური დინებები, სამივე ფილმში, ერთგვარად ეგზისტენციალური კრიზისის მატარებელი გახლდათ.

რეალურად არსებულის ჩვენება და მისი დინების ამოცნობა ამ პერიოდის კინოპროცესში ძალზე აშკარა ხასიათისაა და მიუხედავად ამისა, თემურ ფალავანდიშვილის „სამანში“ მიმდინარე მოვლენების ჩვენებას თავად ამ მოვლენათა განწყობის ამოცნობის, თუმცა არა ინტერპრეტირების საფუძველი გააჩნდა და ამიტომ, ფალავანდიშვილის მიერ გამოვლენილი საზოგადოებრივი პორტრეტები და მოვლენათა განვითარების ქრონიკა სხვაგვარია – რიტმულად თანაბარი, ქრონიკისთვის აუცილებელი ბუნებრიობით და ამავე დროს, სატელევიზიო რეპორტაჟის მხოლოდ მინიშნებითი დეტალებით, მაგალითად, განწყობათა ცვალებადობის წამიერი ფიქსირებით და დაძაბულობის საერთო ხედებიდან ახლო ხედებზე სწრაფი მონაცვლეობით, რაც შესაძლებელია ქრონიკას თავის ორგანულობას უნარჩუნებდეს, ნებისმიერ დროს.³

თავისი განვითარების პროცესში, მიხეილ ბასინოვისა და მიხო ბორაშვილის სატელევიზიო დოკუმენტური თხრობაც კინოენისგან ბევრ რამეს იღებს მემკვიდრეობით და ძალიან ჰგავს მას ენობრივი და სტილისტური, მხატვრული გამოხატვის საშუალებებისა და მონტაჟის მიხედვით. დამატებით, „საქართველოს ქრონიკებისთვის“ ის შეფასებაა, რომელიც ურთულეს დროს შექმნილ სატელევიზიო მასალას გულისხმობს, შესაბამისად – ნაკლები მოთხოვნებით გამოსახულების ხარისხის მხრივ.

3 Nichols, Introduction, 2017.

სატელევიზიო დოკუმენტური კინოს სპეციფიკურ თავისებურებათა შორის, გამოსახულების ხარისხი ერთ-ერთია, რაც არ შეიძლება უგულვებელვყოთ. მით უმეტეს, რომ ყოველთვის ვგულისხმობთ სხვა მასშტაბის ინტერიერში (ვიდრე კინოთეატრია) მყოფ მაყურებელს, რომელსაც შეუძლია მოვლენების თანმიმდევრულ ფიქსირებას თავი აარიდოს. ტელევიზიის ენა უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია — იგი მოიცავს კომენტარის ელემენტებს (ტექსტს, გრაფიკას), გამოკითხვებს, რიტუალებს, ასტროლოგიების პროგნოზებსა და სხვა კომპონენტებს, რომლებიც ბორაშვილისა და ბასინოვის მიერ აღწერილი სატელევიზიო ელემენტების სინთეზის ნაწილია. ყოველივე ეს ამდიდრებს ტელევიზიის ენას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ტექნიკური სრულყოფილებით ვერ გამოირჩევა.

საავტორო დოკუმენტური ფილმის ძირითადი მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ მას იშვიათად ახლავს თან საავტორო კომენტარი - კადრგარეთ ტექსტი, გრაფიკული კომენტარი და ასე შემდეგ, მაყურებელი ყოველთვის სუბიექტურია (და ეს ასეც უნდა იყოს), ფაქტის, მოვლენის შეფასებასთან და აღქმასთან კავშირში. აქედან გამომდინარე, კომენტარი ან მხატვრულ ქსოვილში ორგანულად ჩნდება, ან მისი ფუნქცია დაკარგულია. იქ, სადაც კომენტარი დრამატურგიულ როლს ასრულებს - ჩვენ მის თხრობით ეფექტს ვამართლებთ და ნახსენები ნამუშევრები სამივე შემთხვევაში სხვადასხვა ფორმით მოიცავს საავტორო კომენტარს (მათ შორის, ოთარ იოსელიანის საავტორო ტექსტსაც), რაც გამართლებულია, მხატვრული კონცეპტუალური თავისთავადობით.

ტელემაყურებელი, რომელიც „საქართველოს ქრონიკებს“ სატელევიზიო რეპერტუარში წააწყდება, აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას მისთვის საინტერესო მრავალთემატურობას. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის, თუ თანამედროვეობის (იმ პერიოდის) განწყობის აღრევისთვის, რაც სატელევიზიო კინოს სამონტაჟო შინაარსის ნაწილიცაა და ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ინტერვიუ, გამოკითხვა, რომელიც ავტორებმა გამოიყენეს, ბევრად გულუბრყვილოდ გამოიყურება თავისი პირდაპირობით დღეს, თანამედროვე სატელევიზიო დოკუმენტური კინოს უსაზღვრო გრაფიკული შესაძლებლობების ფონზე, მაგრამ, სამაგიეროდ მას პორტრეტული დახასიათების ის უტყუარი დინამიკა გააჩნია,

რაც ასე იშვიათია ნებისმიერი თანამედროვე ისტორიული მიმოხილვისა თუ რეპორტაჟული ელემენტების მქონე სატელევიზიო კინოსთვის.⁴

ჩვენს ისტორიულ მეხსიერებასა და ინსტიტუციურ მორალში ქართული სატელევიზიო ფილმი ზოგადად არ განიმარტება, როგორც კონიუნქტურა - ამას დიდი ტრადიცია, დაუღალავი შრომა და უდავოდ დიდი ინტერესი განაპირობებდა. ამიტომ, მართლაც რომ ყველაზე რთულ დროს გადაღებული ეს სატელევიზიო ფილმები ორმაგი ფუნქციის მატარებელი გახდა მაყურებლის დიდი ნაწილისთვის. ერთი, რომ თხრობითი ფორმების აღრევამ მოიტანა მათ მიმართ ინტერესი, ხოლო მეორე და მთავარი - დროის ფიქსირების, გარდატეხების, შიშის, სიხარულის თუ სხვა ემოციური გამოვლინებების ძივა ვერტოვისეულად,⁵ მოვლენათა სიღრმიდან ჩვენება, შესაძლებელი გახდა, ამ დროის კონტექსტიდან გამომდინარე. ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ ასტროლოგია, საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვაობა, დაშლილი საბჭოეთის კონფლიქტები, არასტაბილური განწყობები, სოციალური კრიზისი - ყოველივე ეს ისეთივე ალოგიკური და ერთი შეხედვით უმართავია ეკრანზე, როგორც თავად დრო. ამიტომ, სხვადასხვა სიჭრელის ფაქტობრივ გამოვლინებაში ჩვენ ლოგიკა კი არ უნდა მოვძებნოთ, არამედ წარმოვიდგინოთ ამ თხრობითი უცნაურობის დღევანდელი მხატვრული სახე და მიხვდებით, რატომ გამოიყურება მოუწყობელი რეალობა ასეთივე მოუწყობელ თანმიმდევრობად, მიხეილ ბასინოვისა და მიხო ბორაშვილის ფილმებში.

როგორც ჩანს, 90-იანი წლები ერთგვარი წყალგამყოფი აღმოჩნდა იქ, სადაც სატელევიზიო კინოს ტრანსფორმირება გახდა შესაძლებელი, მიუხედავად ფინანსური მასშტაბური კრიზისისა კინოში. ფორმატის ძიება სწორედ ის წერტილი იყო, საიდანაც, ჟანრისა და ფორმის თვალსაზრისით, მრავალ, თვითდინებად ფორმატად დაყოფა გახდა შესაძლებელი და ტელევიზიის თუნდაც მცირე იდეოლოგიური მახასიათებლებისაგან შორს მდგარმა ქართულმა სატელევიზიო დოკუმენტურმა კინომ ისეთი დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომელიც უსახსრობითა და მისადმი ნაკლები ინტერესით იყო განპირობებული, საერთო დამფინანსებელთა მხრიდან.

4 Winston, Claiming, 2008.

5 Vertov, On Kinopravda, 1924.

კინომცოდნე მანანა ლეკბორაშვილი კვლევაში, რომელიც დოკუმენტური ფილმის არსის, მისი ფუნქციის და შინაარსის დეტალებზეა ორიენტირებული, განიხილება რამდენიმე შინაარსობრივი აქცენტების მქონე დოკუმენტური კინოს მწარმოებელი არხი – მაგალითად, DISCOVERY, BBC. ნახსენებ მასალაში ჩნდება ასევე ჟურნალისტი თომა ჩაგელიშვილი და მისი სერია „საქართველოს უახლესი ისტორია“. თუმცა ამ ფილმების მიკუთვნება სუფთა სახის დოკუმენტური კინოსათვის, გართულდება – ამ ამრს ავტორი მკვიდრად უჭერს მხარს. ამასთანავე, ძალზე კონკრეტულ ეკლექტურ ერთიანობაში არსებული ამ ტიპის დოკუმენტალისტიკა, მართლაც იმდენად დიდი რაოდენობის ჟანრულ და ფორმისეულ ტიპებს მოიცავს, რომ დოკუმენტური კინოს სუფთა ფორმების დანახვა, პრობლემას წარმოადგენს. მათ შორისაა: გადაცემები ტელეთერისთვის, შემეცნებით –საგანმანათლებლო, იგივე რაც სამეცნიერო-პოპულარული ადრეულ ეპოქაში, ჟურნალისტური გამოძიებები, დოკუდრამები, რეალითი-თივის სერიალები და ფილმი-რეკონსტრუქციები.⁶

ქართულ სატელევიზიო კინოსთან ამ მოსაზრებებს ბევრი შეხების წერტილი გააჩნია, ვინაიდან ყველაფერი, რაც ჩამოვთვალეთ, დოკუმენტური კინოს განვითარებისთვის არის დამახასიათებელი და ამ ერთიან სურათში, თითქმის უშედეგო იქნება ჟანრის სიწმინდემე საუბარი, ან თუნდც ნებისმიერი ჟანრული ცვლილების და იმპროვიზირების მოთხოვნა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, თითქმის არ არსებობს პრეცედენტი, რომელიც ჟანრის პირდაპირობის და ამ ტიპის მოთხოვნებთან იქნება ასოცირებული დოკუმენტურ კინოში. ოთარ იოსელიანი, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური კინოს სინთეზის ავტორი და ქრონიკის იმპროვიზატორია, მაინც უფრო მეტად მხატვრული ესთეტიკური ღირებულებების რეჟისორად აღიქმება, ვიდრე თემის რეფორმატორად. ამას მიზეზი აქვს: მისი ფილმების სოციალური ჟღერადობა ამოსაკითხი და გასაანალიზებელია.

სატელევიზიო დოკუმენტური კინოს ორსახოვნება და მისი ბუნება ჟურნალისტიკისა და სივრცესა და დროში განვითარებადი ხელოვნების შერწყმა, დღეს მკვლევარებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სატელევიზიო კინოს ანალიზი დროის ძვრებში.

⁶ ლეკბორაშვილი, კარგი. 2013-14.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გლურჯიძე ლ., ბედოშვილი ლ., გაუჩინარებული ეკრანი ვიზუალური არქივი: 1990-იანი და 2000-იანი წლების ქართული დოკუმენტური კინო, თბ., 2024.
- დანართი #1. ინტერვიუ კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილთან.
- ლეკბორაშვილი მ., კარგი „სიახლე“ - ქართული დოკუმენტური კინო ცოცხალია, 2013-14. <https://georgian-cinema.ge/index.php/ge/2015-04-01-05-55-23/525-2015-10-03-19-01-44-10/30/2025>.
- Nichols B., Introduction to Documentary, 3rd ed., Bloomington, Indiana, 2017.
- Winston B., Claiming the Real II: The Documentary Grierson and After, London, 2008
- Vertov, Dz., On Kinopravda, Moscow, 1924.

გიორგი რაზმაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი

რეზიუმე

კინოს სტრიმინგ სერვისი კინოს პრობლემად განიხილებოდა, რომელსაც კინოთეატრების დახურვა და ინდუსტრიის კარდინალური ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა. სტრიმინგ სერვისები ესთეტიკურ და სტრუქტურულ ცვლილებებსაც გულისხმობდნენ. აგრეთვე ონლაინ სერვისებით საბოლოოდ იცვლება ფილმის ნახვის ტრადიცია, მათ შორის ფილმის კინოთეატრში ნახვის გამოცდილება, რომელიც უცნობ ადამიანებთან ერთად ფილმის ნახვის უნიკალურ გამოცდილებას გულისხმობდა. თუმცა, მეორე მხრივ, სტრიმინგ სერვისებმა კინო უფრო ხელმისაწვდომი გახადა და საჯარო ხელოვნებიდან კინო პირად, ინტიმურ ხელოვნებად აქცია. ეკრანთან მარტოდ დარჩენილი ინდივიდი აუდიო-ვიზუალურ ნარატივთან იმანენტურ კონტაქტს ამყარებს, რაც წარსულში წარმოუდგენელი იყო.

კინოს სტრიმინგ სერვისებმა სამყარო მოძრავი გამოსახულებითა და ნარატივებით გაავსეს, რაც გლობალური კაპიტალიზმის კლასიკური გამოვლინებაა. თუმცა, მეორე მხრივ, ფილმსა და

ინდივიდს შორის აუქმებენ ბარიერებსა და შუამავლებს, ხელს უწყობენ კინოსთან მედიტაციურ ურთიერთობას.

საქართველოში უნიკალური მოვლენა მოხდა, როდესაც კინოთეატრების ერთადერთმა ქსელმა პირველი ქართული სტრიმინგ სერვისი შექმნა. მაგალითად, ნეტფლიქსი ფლობს რამდენიმე კინოთეატრს, თუმცა მხოლოდ სიმბოლური დატვირთვით. საქართველოს შემთხვევაში კი Cavea ქსელმა თავადვე შექმნა ონლაინ პლატფორმა და ამით ბაზრის მონოპოლიისთვის ბრძოლა განაგრძო.

საქართველოში პირატული ფილმების სტრიმინგ სერვისებია განვითარებული, რის გამოც ლეგალურ ფლატფორმებს პრობლემები ექმნებათ, როგორც ადგილობრივს, აგრეთვე საერთაშორისო კომპანიებს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს კინოსთან უშუალო ყოველდღიური კონტაქტი და, მეორე მხრივ, არ აქვს გლობალურ კაპიტალიზმში ჩართვის სურვილი (და არც შესაძლებლობა).

კვლევის მიზანია საქართველოში არალეგალური სტრიმინგ-სერვისი ფენომენის გამოკვლევა, რომელიც უნდა დავინახოთ კოლონიალიზმისა და კაპიტალიზმის ჭრილში. ქართულ საზოგადოებაში ონლაინ ფალტფორმებთან „უფასო“, არაკაპიტალისტური და-

მოკიდებულება არაკომერციული ინტერნეტის იდეასა და ხელოვნების თავისუფალი ჭვრეტის კონცეფციებს მოიცავს. ამავე დროს, შევეცდები იმ ცვლილებების ანალიზს, რასაც ონლაინპლატფორმები იწვევს როგორც მომხმარებელში, აგრეთვე კინოინდუსტრიაში.

არალეგალური სტრიმინგი საქართველოში ციფრული კაპიტალიზმი და მასზე პასუხი

საკვანძო სიტყვები: სტრიმინგ სერვისები, ინტერნეტის განვითარება საქართველოში, დიდი მონაცემების კაპიტალიზმი, პარტიზანობა ინტერნეტში.

ინტერნეტი დაიბადა, როგორც სისტემა, რომელსაც უნდა დაეძლია კომუნიკაციის ყველა ფორმაში არსებული გადაულახავი პრობლემები, როგორებიცაა დისტანციის, უკუკავშირის და რაც მთავარია, ინფორმაციის/კონტენტის შექმნისა და გავრცელების პრობლემები. საუკუნეების განმავლობაში მასობრივ კომუნიკაციაზე უპირატესობას ფლობდა დომინანტური კულტურის აგენტები. დიგიტალური სამყაროს სახით კი, რომელსაც ინტერნეტის დამოუკიდებელი მკვლევარი **კარლა სარატი** (Carla G. Surratt) ნეტროპოლისს უწოდებს,¹ გაჩნდა ადგილი, რომელშიც რეალური თანასწორობის დამყარება შესაძლებლობა. ინფორმაციის შექმნა და გაცვლა დომინანტური ძალების ავტორიზაციის გარეშეა შესაძლებელი, თუმცა, უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ იყო შესაძლებელი, სანამ ინტერნეტის თავისუფლებას ალგორითმები დაასრულებდნენ.²

1 ნეტროპოლისი - ესაა კიბერნეტიკული სივრცე, რომლის მოქალაქეებიც ისეთივე საზოგადოებას ქმნიან, როგორც ეს ბერძნულ პოლისებში იყო, ანდა ნებისმიერ ურბანულ სივრცეში. „ინტერნეტი კაცობრიობის ვირტუალური დასახლებაა“, რომლის ფიგურულ ეკოლოგიასაც აქვს ციფრული ურბანისტიკა და საზოგადოება, ანუ „სოციალური სისტემა, რომელიც ვლინდება ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზებაში“. იხ. Surratt, The Internet, 2001, pg. 64.

2 მკვლევარი კრისტიან ფუქსი (Christian Fuchs) ნეოლიბერალიზმის პირობებში არსებულ კიბერნეტიკულ სამყაროს ციფრულ პანოპტიკონს (მიშელ ფუკო) ადა-

ინტერნეტის ადრეულ ხანაში ახალ ტექნოლოგიას ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტისა და ახლის შემეცნებისთვის იყენებდნენ. ვაჭრობა, რეკლამა და პროდუქტების შემოთავაზება ინტერნეტში შემდგომ ეტაპებზე ჩნდება. დიდი მონაცემების³ კაპიტალიზმი (Big Data Capitalism) დგას ინფორმაციის კომერციალიზაციაზე, რადგან დიგიტალურ სამყაროში ყველაფერი ინფორმაციას წარმოადგენს, კორპორაციებმა სწორედ ინფორმაციის შეგროვება და მისი მონეტიზაცია დაიწყეს. ინფორმაციის ფილოსოფოსი **ლუჩანო ფლორიდი** (Luciano Floridi) აღნიშნავს, რომ დღეს „რეალობის საბოლოო ბუნება ციფრულია“,⁴ ამიტომ დომინანტური საინფორმაციო მატრიცის აგებაც და მასთან ბრძოლაც სწორედ კიბერნეტიკულ სივრცეში მიმდინარეობს.

ინტერნეტის ექსპერიმენტული პერიოდის დროს არსებობდა მართლაც სრული თავისუფლება, მაგრამ ჰორიზონტალურ კავშირებზე დაფუძნებული ციფრული სამყარო მალევე დაიფარა მყვირალა ბანერებით, რომელთა მფლობელებმაც ეს სივრცე ეტაპობრივად აითვისეს და კორპორაციებით გაკონტროლებულ ტერიტორიად აქციეს.

ინტერნეტის დღევანდელი მომხმარებელი, ძირითადად, მხოლოდ მსხვილი კომპანიების პლატფორმებზე ატარებს თავის დროს, იქნება ეს სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები თუ სტრიმინგ სერვისები. ინტერნეტი, რომელიც ჩაფიქრებული იყო ფიზიკური სამყაროს ყველა ტიპის წინააღმდეგობისგან თავისუფალ კომუნიკაციის საშუალებად,⁵ იქცა კაპიტალიზმის ახალ ტერიტორიად. ამ ახალი სივრცის ათვისებითა და გაფართოებით კაპიტალიზმმა თავი გადაირჩია მორიგი კრიზისისგან, რადგან იდეოლოგიის არარსებობის გამო საარსებოდ მას მუდმივად ესაჭიროება ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების დაპყრობა, კიბერსივრცე კი სწორედ ასეთ Mundus Novus წარმოადგენდა.

ციფრული სამყარო კაპიტალიზმისთვის მნიშვნელოვან ფენომენად იქცა, რადგან ინფორმაცია განსაკუთრებული სისწრაფითა

რებს, რომელიც ალგორითმების წყალობით გადაქცეულია უზარმაზარ სავაჭრო ცენტრად. იხ. Fuchs, Chandler, Digital, 2019, pg. 58.

3 კომპიუტერული ტექნოლოგიების დიდი კორპორაციების კონგლომერატი. მსგავსად გამიანი სასმელებისა და ნავთობის კომპანიებისა, რომლებსაც Big Soda და Big Oil ეწოდებათ.

4 Floridi, Digital, 2009, pg. 175.

5 Harvey, Postmodernity, 1989, pg. 222.

და სიმარტივით ვრცელდება. **ვალტერ ბენიამინი** თანამედროვე კაპიტალიზმის ლოგიკის ახსნას ხელოვნების ნიმუშის ტექნიკურ რეპროდუცირებადობის მაგალითით ხსნის.⁶ კაპიტალიზმის მიზანი გამრავლებაა. ციფრულ გარემოში კი ტექნიკური გამოსახულება ავტომატურად ექვემდებარება დაუსრულებელ გამრავლებას, რომლის მონეტიზაციასაც „ბიგ დატა“ (Big Data) კორპორაციები აქტიურად იყენებენ.

საგულისხმოა, რომ ინტერნეტში არამხოლოდ ინფორმაცია იქცევა კომერციის ობიექტად, არამედ დროც. სტრიმინგ სერვისების კომერციული წარმატება დამოკიდებულია იმ დროზე, რასაც მომხმარებელი პლატფორმაზე გაატარებს. დრო და სივრცის ტოტალური დაუფლების შემდეგ, კაპიტალიზმი ადამიანს ციფრულ ეკოლოგიაში საბოლოოდ აქცევს მომხმარებლად, რომელსაც მხოლოდ სამომხმარებლო ქცევა აქვს შენარჩუნებული როგორც ფილმებთან მიმართებით, ასევე, მაგალითად, რომანტიკულ ურთიერთობებში პარტნიორების შერჩევის დროს. „დისნეი+“ ბავშვებს მომხმარებლებად ზრდის, რომლებმაც სამყაროს შეცნობა, ცუდისა და კარგის გარჩევა, მეგობრობისა თუ სხვა უნარ-ჩვევების სწავლა სააბონენტო გადასახადის გადახდის შედეგად უნდა შეძლონ.

სტრიმინგ სერვისები წარმოადგენს კაპიტალიზმისა და დომინანტური კულტურის დიგიტალურ ზედნაშენს. ფრანგი ფილოსოფოსი **ეტიენ ბალიბარი** მარქსისა და ენგელსის „გერმანულ იდეოლოგიაში“ გაკეთებულ შენიშვნებზე დაყრდნობით წერს, რომ ზედნაშენის ფუნქცია იმ სოციალური და კულტურული იერარქიის შენარჩუნებაა, რომელმაც ის დაბადა.⁷ კრიტიკული თეორიის წარმომადგენლები **თეოდორ ადორნო** და **მაქს ჰორკჰაიმერი** კი ინდუსტრიულ კულტურაში ხედავენ ძალას, რომლის მიზანიც ინდივიდის „კაპიტალის ტოტალურ ძალაუფლებას საფუძვლიანად“ დაქვემდებარებაა.⁸

ამგვარად, ინტერნეტი დღეს დიდი კორპორაციების სრული კონტროლის ქვეშაა, რომლებიც მუდმივად სწავლობენ მომხმარებლებს, აგროვებენ მასზე დიდძალ ინფორმაციას, რისი შესაძლებლობაც აქამდე არც ერთ სახელმწიფო თუ სოციალურ ინსტიტუტს არ გააჩნდა. ამავდროულად, დიდი კორპორაციები აწესებენ

6 ბენიამინი, ხელოვნების, 2007, გვ. 26.

7 ბალიბარი, მარქსის, 2016, გვ. 83.

8 ჰორკჰაიმერი, ადორნო, განმანათლებლობის, 2012, გვ. 176.

შეზღუდვებს და სულ უფრო მეტად განდევნიან ისეთ ქცევას, რომელიც მათ კონტროლს მიღმაა. მთავარი აკრძალვა კი გამრავლებამე მოდის.

ბორის გროისი წერს, რომ დიგიტალურ სამყაროში დედნისა და ასლის ცნება ნარჩუნდება, თუმცა ელექტრონული ტექნოლოგიებით დედნის იდენტური ასლის გაკეთება იმდენად გამარტივებულია, რომ რიც შემთხვევებში ინფორმაციის მესაკუთრის, პირველწყაროს დადგენაც შეუძლებელია.⁹ ინტელექტუალური საკუთრების ცნებაზე უარის თქმა მარქსიზმისთვის ამოსავალი წერტილია, რადგან ნებისმიერი ტიპის საკუთრება ძალაუფლებისა და ექსპლუატაციის წყაროს წარმოადგენს. ასევე, თუკი გავიხსენებთ ანტონიო გრამშის „ორგანული ინტელექტუალის“ ცნებას,¹⁰ ინტელექტუალური საკუთრება „ინტელექტუალური ფეოდალიზმის“ ბაზისადაც უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, 1938 წელს საფრანგეთში სახალხო ფრონტის მთავრობამ ინტელექტუალური საკუთრების გაუქმების კანონპროექტი შექმნა, რომლის მიხედვითაც ხელოვანი არა „მფლობელად“ (propriétaire), არამედ „ინტელექტუალურ მუშაკად“ (travailleur intellectuel) ცხადდებოდა.¹¹ ინტელექტუალური მუშაკი“ თითქმის იდენტური იყო საბჭოთა კავშირში არსებული „ხელოვნების მუშაკის“ ცნების, რომელიც ინჟინერივით ან დურგალივით საერთო საქმისთვის – მომავლის შენებისთვის – იღვწოდა.

როგორც ვთქვით, კაპიტალიზმს არ აქვს იდეოლოგია, ის იპყრობს ტერიტორიას, რომელსაც ან რესურსების წყაროდ მიიჩნევს, ანდა გასაღების ბაზრად (ან ორივეს ერთად). ნებისმიერი ტიპის კოლონიზაციას წინააღმდეგობა ხვდება, რასაც დასავლური ცივილიზაცია, კონკისტადან მოყოლებული, ომითა და რბილი ძალის გამოყენებით პასუხობს, ჩვენი ეპოქის ჩათვლით – იქნება ეს ერაყის ომი თუ სხვა.

ყველა კოლონიური კამპანიის უკან დგას ეკონომიკა – კაპიტალიზმი, რომელიც ნებისმიერ წინააღმდეგობას ცივილიზაციის წინააღმდეგ სვლად ნათლავს და მას სიველურის გამოვლინებად მიიჩნევს.¹² ზუსტად იგივე კანონზომიერებაა დიგიტალურ სამყარო-

9 გროისი, ესეები, 2014, გვ. 104.

10 Gramsci, Prison, 1996, pg. 203.

11 Explanatory statement, Journal Officiel, Chambre des Députés, Documents Parlementaires, August 13, 1936, pg. 1707. See also J. Zay J., Souvenirs et solitude, 2004, pp. 218–219.

12 მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალიზმის იდეოლოგიები მუდმივად საუბრობდნენ,

შიც, რომელშიც წესრიგი ინტელექტუალური საკუთრების გარშემო იგება. „ბიგ დატა“ კორპორაციები განსაზღვრავენ, თუ რა არის „სწორი“ და „არასწორი“ ქცევა, რისი გამრავლებაც ნებადართული, რა სახით, სად და ასე შემდეგ. კიბერნეტიკულ გარემოში მორალურ კოდექსს აწესებენ ტექნოლოგიების მფლობელი კომპანიები, რაც ტოტალური კორპორაციული მმართველობის გამოვლინებაა.

ამავდროულად, მრავლადაა შემთხვევები, როდესაც არტისტები დიდ კომპანიებს ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაში ანდა არასამართლიანად გამოყენებაში ადანაშაულებენ.¹³ სტრიმინგ სერვისებს და ზოგადად ფიცრულ კაპიტალიზმს ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა მოგების მიღების მიზნით ყოველთვის შეუძლია. ის ყოველთვის არასაკმარისს უხდის შემოქმედს და ამავდროულად მასზე დამოკიდებულს ხდის. ამ ურთიერთობებს კი სახელმწიფო არ არეგულირებს, რის გამოც ნებისმიერი შემოქმედი კორპორაციების ექსპლუატაციის მსხვერპლი ხდება, ის ვერასოდეს შეძლებს ისეთი ხელოვნების კეთებას, რომელიც მოგებაზე ორიენტირებული არ იქნება.

70 წელი საქართველოში ხელოვნება იყო „უფასო“. საბჭოთა პერიოდში ხელოვნების ერთადერთი დონორი სახელმწიფო იყო, რომელიც კოლოსალურ თანხებს ხარჯავდა ადგილობრივი კულტურის განვითარებაში, ასევე საკავშირო ხელოვნების შექმნასა და მსოფლიო კულტურის ინტეგრირებაში. საბჭოთა კავშირის შექმნიდან ძალიან მალევე დაიძლია ანალფაბეტურების პრობლემა, აშენდა მრავალი სკოლა, თეატრი, კინოთეატრი, საგამოფენო სივრცე, ბიბლიოთეკა. ყველა სოფელში იყო კულტურის კლუბი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ რეკრეაციულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს ითავსებდა.

საბჭოთა ურბანისტიკა ალბათ ერთადერთი იყო სამყაროში, რომელიც ქალაქგეგმარების დროს ერთ სულ მოსახლეზე ბიბლიოთეკის, კინოთეატრის, თეატრისა და მუსიკალური სასწავლებლების არსებობას სკოლასთან, ბაღსა თუ საავადმყოფოსთან ერთად ითვალისწინებდა.¹⁴ მხოლოდ საქართველოში არსებობდა 20-ზე

რომ ადამიანთან ცივილიზაციის და თანასწორობის ერთადერთი გზა სამყაროსთვის კაპიტალიზმი იყო. იხ. Tzouvala, Capitalism, 2020, pp. 44–87.

13 Sweney, Shaken, The Guardian, 2017.

14 სტატიაში განხილულია საბჭოთა რეკრეაციული ქალაქგეგმარება: Rugg, Aspects, 1970, pp. 83–116. ასევე, იხილეთ საბჭოთა ურბანისტიკის ფუძემდებლის ნიკოლაი მილუტინის (Николай Милютин) ნაშრომი „სოცქალაქი“: Miliutin,

მეტი კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც საერთაშორისოდ აღიარებული კვლევები მიმდინარეობდა ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ენათმეცნიერების, მედიცინისა თუ ფსიქოლოგიის მიმართულებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ კულტურული თუ საგანმანათლებლო ცენტრების შედეგები იყო საყოველთაო, ყოველგვარი „საავტორო უფლებების“ გარეშე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მილიონობით ადამიანი კაპიტალიზმის პირისპირ სრულიად მოუზადებელი აღმოჩნდა, ღირებულებათა სისტემის ნგრევამ კი სრული ქაოსი მოიტანა. ის, რაც მანამდე აკრძალული იყო და უზნეობად მიიჩნეოდა, ახალ ეპოქაში ნებადართული გახდა. კაპიტალიზმამ ყველაზე თავისუფალი სახე მიიღო, რასაც „განგსტერულ კაპიტალიზმს“ უწოდებენ.¹⁵ საზოგადოების დემეტაფორული წყვეტის (*la coupure demétaphorisante*)¹⁶ შედეგად წინააღმდეგობის გაწევის უნარი ნულამდე დავიდა.

1992 წელს მომავალმა ქართველმა ოლიგარქებმა და უბრალოდ კრიმინალებმა სამხედრო გადატრიალება მოაწყვეს. კანონიერი ხელისუფლების მომხრეები წარმოუდგენლად მასშტაბურ აქციებს აწყობდნენ, თუმცა „მხედრიონი“ მათ ქუჩაში უხსნიდა ცეცხლს და დემონსტრაციულად სასტიკად არბევდა.¹⁷ ზვიად გამსახურდიას მთავრობის წინასაარჩევნო პროგრამა კაპიტალიზმზე ეტაპობრივ, თანდათან გადასვლას გულისხმობდა, ბაზრის გაღება კი მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინების შემდეგ უნდა მომხდარიყო.¹⁸ რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები

Sotsgorod, 1975.

15 Holmstrom, Smith, Gangster, 2000, pp. 1-15.

16 ფსიქოლოგ შალვა მამინაშვილს პოსტსაბჭოთა საზოგადოების ტრავმული მდგომარეობის აღსაწერად შემოაქვს ტერმინი დემეტაფორული ხლეჩა, რაც საბჭოთა სისტემის კაპიტალიზმით ჩანაცვლების პროცესში წარმოიშობა. იხ. Maminashvili, Orthodoxe, 2021, pg. 17.

17 სამხედრო გადატრიალების შემდეგ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მრავალიცხოვანი აქციების დარბევებზე იხილეთ მიტინგების მონაწილეთა მონაცემები: მიქაუტაძე ანა, 1992 წლის საპროტესტო აქციები, iberiana2, 21.01.2020; ჩხაიძე გულიკო, ჩვენ საქართველოს სიყვარულისთვის გვესროდნენ, iberiana2, 22.01.2020. ასევე, 1992 წლის აქციების დარბევების ქრონიკა, რომელიც ატვირთულია 2013 წლის 27 ნოემბერს პლატფორმა youtube-ზე Daniel Savaneli-ის ანგარიშის მიერ. ვიდეოს სახელწოდებაა „დახვერეთილი მიტინგების ქრონიკა, იანვ., თებ., 1992 წ.“.

18 ამონარიდი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის - „მრგვალი მაგიდის“ წინასაარჩევნო პროგრამიდან: „დასავლეთის ბანკების კრედიტებსა და ინვესტიციებს არ შეუძლიათ ავტომატურად გადაწყვიტონ ჩვენი ეკონომიკური პრობ-

შეთანხმებულად დაუპირისპირდნენ ზვიად გამსახურდიას და მხარი დაუჭირეს ულტრამემარჯვენე კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებსაც სათავეში კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი და რუსეთთან დაკავშირებული სხვა გავლენიანი პირები ედგნენ.¹⁹ ასეთ უმძიმეს გარემოში ერთადერთი სივრცე, რომელშიც განგსტერული კაპიტალიზმი ჯერ ვერ აღწევდა, იყო ინტერნეტი.

მილიონობით პოსტსაბჭოთა ადამიანი ნეტროპოლისში ციფრული იმიგრანტი (Digital Immigrants) გახდა. ამერიკელი მწერლის, მარკ პრენსკის (Marc Prensky), დამკვიდრებული ეს ტერმინი ეხება ადამიანებს, რომლებიც ციფრულ ეპოქამდე დაიბადნენ და რომლებმაც ციფრულ სამყაროსთან ადაპტაცია გაიარეს.²⁰ ციფრული იმიგრანტების უმრავლესობის უნარ-ჩვევები და ქცევა ყოველთვის განსხვავებული იქნება ციფრული მკვიდრის (Digital Native) ქცევისგან, რომლებიც ციფრულ ერაში გაიზარდნენ.²¹ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ონლაინ თამაშში „რობლოქსი“ (Roblox) ბავშვებში ვაჭრობის საფუძვლების სწავლების უდიდესი პლატფორმაა. ადრეული ასაკიდანვე თამაშის მომხმარებელი მშობლებს სთხოვს ინვესტიციებს, ამ რესურსებით ისინი ქმნიან სხვადასხვა სკინს (skin) თუ თამაშს, რასაც შემდგომში სხვა მოთამაშეებზე ყიდიან.

პოსტსაბჭოთა სივრცეში კაპიტალიზმის წინააღმდეგ შედარებით უფრო დიდი და მასობრივი რეზისტენტობა არსებობდა, რისი გამოვლინების ერთადერთი სივრცეც ახალი ტექნოლოგიის სამყარო იყო, რადგან ფიზიკურ სამყაროში ყველა რესურს უკვე ან ტრანსნაციონალური კომპანიები ფლობდნენ ანდა მათიოზური კლანები. ადამიანებს, რომლებსაც ჯერ ისევ ახსოვდათ, რომ ლიტერატურა და კინო „უფასო“ იყო (იმდენად მიზერული საფასური ღირდა წიგნი თუ კინოს ბილეთი, რომ მას „უფასო“ შეგვიძლია ვუწოდოთ), ამ მიდგომით დაიწყეს ახალი სივრცის ათვისება. გაჩნდა

ლემები. ამიტომ, პირველყოვლისა უნდა აღდგეს ეკონომიკური სუვერენიტეტი, განხორციელდეს დემონოპოლიზაცია, პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობისთვის ხელშეწყობა, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მის პარალელურად მოხდეს საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა“.

19 1992 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს – ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯეიმზ ბეიკერს რესპუბლიკის მოედანზე საპატიო „მხედრიონელად“ ირჩევნ. იხ. ივერია-ექსპრესი, 19 მარტი, 1994 წელი, გვ. 1.

20 თუმცა, პირველად ინტერნეტ მკვიდრებსა და იმიგრანტებზე წერს ჯონ პერი ბერლოუ „კიბერსივრცის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“.

21 Prensky, Digital, 2001, pp. 1-6.

ტორენტები და სხვა საიტები, რომლებიც მუსიკას, ფილმებსა და კომპიუტერულ პროგრამებს საფასურის გარეშე ავრცელებდნენ. ამ კულტურამ მასობრივი სახე მიიღო. სანამ რეალურ სამყაროში პოსტსაბჭოთა ადამიანებს „მაკდონალდსის“ მოხმარებას ასწავლიდნენ, დიგიტალურ სივრცეში მოზარდები პროგრამების გატეხას ეუფლებოდნენ.

პარტიზანული ინტერნეტი საქართველოში

„ინტერნეტის განვითარების პირველი ეტაპი საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. მაშინ პრაქტიკულად ყველა პროვაიდერს რუსეთთან ჰქონდა კავშირი. ინტერნეტის პიონერი საქართველოში კომპანია „ხეთა“ (www.kheta.ge) და „გუდვილკომი“ იყვნენ“.²² რაც შეეხება კონტენტს, „ქართული ინტერნეტის შექმნაში პირველი ნაბიჯები გადადგა საქართველოს დევნილი ეროვნული ხელისუფლების ემიგრაციამ ფინეთიდან. პირველი ქართული (ქართულ ენაზე შესრულებული) ვებ გვერდი ანუ ვებ საიტი 1996 წლის დასაწყისში შექმნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელმა ევროპაში რენო სირაძემ (ფინეთი) - ეს იყო „დედაენა“.²³ პირველი ქართული ვებ-საიტი კი უნიკოდ კოდირებაზე იყო დაფუძნებული და რიგით მეორე ქართული ვებ-საიტი „შავლეგო“ იყო, რომელიც 1996 წელს BPG-InfoTech-ის ბაზაზე ფინეთში, ასევე დევნილი მთავრობის წევრმა ბესარიონ გუგუშვილმა შექმნა.

„ინტერნეტ ტექნოლოგიებისადმი და ინტერნეტში ქართული დამწერლობის გამოყენებისადმი მიძღვნილი პირველი ქართული ვებ-საიტი გახდა „ქართული ვების ტიპოგრაფია“ დაარსებული 1997 წლის დასაწყისში BPG-InfoTech-ის (ბესარიონ გუგუშვილი, ფინეთი) მიერ“.²⁴ გამოდის, რომ ქართული ინტერნეტის ისტორია დაიწყო პარტიზანებმა, რომლებიც ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების უზურპატორ ძალებს დევნილობაში, ევროპიდან ებრძოდნენ.

22 ახალაშვილი, ინტერნეტის, 2009, გვ. 43.

23 მონაცემები აღებულია 2010 წლის 23 აპრილს temoblumgardt-ზე გამოქვეყნებული ბლოგიდან, რომლის სახელწოდებაცაა „ქართული ინტერნეტი (მოკლე მიმოხილვა)“.

24 იქვე.

ზვიად გამსახურდიას მთავრობის მომხრეები გადატრიალების მესვეურებმა სრულად გაანეიტრალეს, მაგრამ არა ინტერნეტ სივრცეში. პარტიზანებმა ქართველებს საწყისი ბაზისი შეუქმნეს, რომლის მეშვეობითაც უკვე ნებისმიერს უმარტივებოდა ქართული კონტენტის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის კომპიუტერულ უნიკოდზე მუშაობა 1975 წელს წამოიწყეს გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში.²⁵

გუგუშვილისა და რენო სირაძის წამოწყება არ იყო ლიბერტარიანული ჯონ პერი ბარლოუს (John Perry Barlow) „კიბერსივრცის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“²⁶ (A Declaration of the Independence of Cyberspace, 1996) იდეების მატარებელი, რომელშიც ავტორი კიბერსივრცეში სახელმწიფოს ჩაურევლობას მოითხოვდა. ქართული პარტიზანული ინტერნეტის იდეა თავისუფალი ეროვნული ინტერნეტის შექმნაში მდგომარეობდა, რომელშიც ყველა იბოვიდა თავს, ვინც კი რეალურ სამყაროში დევნისა და შევიწროების მსხვერპლი იყო – იქნებოდა ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ დომინანტურ სისტემებთან სხვა სახის დაპირისპირება.

სტრიმინგ სერვისების განვითარება

ინტერნეტის საფასური 1990-იან წლებში 300 აშშ დოლარს აღწევდა, მისი გაიაფებით გაიზარდა მომხმარებელთა რიცხვი და უკვე საუკუნის დასაწყისისთვის, მართალია, კვლავ მაღალ ნიშნულზე რჩებოდა, მაგრამ შედარებით ხელმისაწვდომი იყო.²⁷

ქართველი ინტერნეტ მომხმარებლების ზრდა რუსულ კიბერსივრცის გავლენის შემცირებას გულისხმობდა. შეიქმნა ლიტერატურის უფასო სერვისის lib.ru-ს ქართული ანალოგი lib.ge. ასევე გამოჩნდა პირატული ფაილების გავრცელების რამდენიმე საიტი, როგორებიცაა: file.ge, gol.ge და lord.ge. მათ კი მრავალი ანალოგები გამოუჩნდა. ყველაზე ძველი ქართული საიტი, საიდანაც სიმღერების გადმოწერა იყო შესაძლებელი, 2000 წელს გაიხსნა, რომელიც ცნობილმა რადიოწამყვანმა ლიზა ვადაჭკორიამ დააფუძნა

25 ინფორმაცია მოყვანილია საიტ „შავლეგოს“ ქართული ფონტის შექმნის ისტორიის განყოფილებაში.

26 დეკლარაცია ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/mCGS2>.

27 აქუბარდია, ინფორმაციული, 2010, გვ. 43.

და მას liza.ge ერქვა.²⁸

2011 წელს კი იხსნება პირველი სრულყოფილი არალეგალური ვიდეო-სტრიმინგ პლატფორმა imovies.cc, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ადგილობრივ ინტერნეტ სივრცეში. საიტი საერთაშორისო სტრიმინგ სერვისების ზუსტი ანალოგი იყო. imovies-ზე განთავსებული იყო აბსოლუტურად ყველა კინოსტუდიის ფილმი, როგორც კლასიკური, აგრეთვე უკანასკნელი პრემიერები.²⁹ კონტენტი უფასოდ ხელმისაწვდომი იყო, თუმცა ფილმებისა და შოუების ნახვამდე საჭირო იყო რეკლამის ყურება. ბიზნესი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მალევე ქართულმა გემბლინგ კომპანია „აჭარაბეთი“, რომელიც 1990-იანი წლების კრიმინალური დაჯგუფების წევრის, თემურ უგულავას დაფუძნებულია, 2014 წელს სხნის ონლაინ სტრიმინგ პლატფორმა adjaranet.com-ს, რომელიც imovies.ge ანალოგი იყო და რომელმაც მალევე ეს უკანასკნელი შეისყიდა.³⁰

ინსტიტუციური არქიტექტურა ჩამოყალიბდა ეროვნულ საბჭოში შექმნილი სასკოლო და ხელოვნების კომისიის მუშაობის შედეგად. 1918-1921 წლებში დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიები (დიდი და მცირე) თანამშრომლობდნენ სამუსიკო, თეატრალურ, მხატვართა საზოგადოებებთან, მწერალთა კავშირთან და განათლების სამინისტროსთან. კომისიის სხდომებში მონაწილეობდნენ მინისტრები, ქალაქის ხელმძღვანელობა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. სწორედ ამ მექანიზმებმა განსაზღვრა რესპუბლიკის კულტურული პოლიტიკის სტრუქტურა, პროფესიული განათლების მხარდაჭერა, კულტურული პროფილის ახალი ინსტიტუციების შექმნა, უკვე არსებული სამეცნიერო და ხელოვნების საზოგადოებების ფინანსური უზრუნველყოფა და ცენტრალიზებული, მაგრამ ევროპული პრინციპებზე დაფუძნებული კულტურული მმართველობის მოდელის ჩამოყალიბება.

კონსტიტუციის შემუშავება და კულტურული უფლებების დამკვიდრება

კულტურის მიმართ ამგვარი სახელმწიფოებრივი მიდგომა აისახა ქვეყნის უზენაეს კანონში. 1918 წლის 6 ივნისს, ეროვნულ საბჭოში დამფუძნებელი კრებისთვის საკანონმდებლო ლეგიტიმაციის გადაცემამდე, შეიქმნა სახელმწიფო კომისია საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებლად. კომისია დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ქართველებით, რომლებსაც გააჩნდათ ცოდნა ევროპის კონსტიტუციური განვითარების სფეროში. კომისიამ ეს პროექტი 1920 წლის ნოემბერში გადასცა დამფუძნებელი კრების ანალოგიურ კომისიას შემდგომი დამუშავებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამართლებრივი და კონსტიტუციური გამოცდილება, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო იმ დროისთვის მრავალმხრივ პროგრესული კონსტიტუციის შექმნა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ შორის კულტურულ უფლებებს. კონსტიტუციონალისტების შეფასებით, იგი გამორჩეულია როგორც მის თანადროულ, ასევე თანამედროვე ევროპის კონსტიტუციებს შორისაც არაერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწინავე პოზიციის გამო და დღემდე რჩება ერთ-ერთ პროგრესულ და დემოკრატიულ კონსტიტუციად არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

კულტურის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წლის კონსტიტუციის 32-ე მუხლს: „ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“.³ ეს ჩანაწერი ორივე მიმართულებით განსაზღვრავდა კულტურის პოლიტიკას, სახელმწიფო არ ერევა შემოქმედებით პროცესში (უარყოფითი თავისუფლება), მაგრამ ასევე იღებს ვალდებულებას, აქტიურად დაუჭიროს მხარი მის განვითარებას (დადებითი ვალდებულება). იმ ფონზე, როდესაც ქართული კულტურა მანამდე იმპერიული ზეწოლის პირობებში არსებობდა, კონსტიტუციის ეს მუხლი იყო პრინციპული პოლიტიკური არჩევანი: თავისუფალი, ევროპული მოდელით ჩაფიქრებული და მხარდაჭერილი კულტურის სახელმწიფო გარანტია.

3 Shatberashvili, Cultural, 2023.

1921 წლის ოკუპაციამ შეაფერხა ევროპული, დემოკრატიული და კულტურულად ავტონომიური საქართველოს პროექტის განვითარება. თუმცა, პირველი რესპუბლიკის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, შემოქმედებითი თავისუფლება, სახელმწიფოს მხარდაჭერის ვალდებულება, ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის მიზანი და კულტურის აღქმა ეროვნული იდენტობის საყრდენად დარჩა როგორც კულტურული პოლიტიკის იდეალური მოდელი, რომლის განსახორციელებლად ბევრი მუშაობაა საჭირო.

საბჭოთა პერიოდის კულტურის პოლიტიკა (1921-1991)

1921 წლის ოკუპაციამ საქართველო ევროპული ორიენტაციის მქონე რესპუბლიკიდან გარდაქმნა ტოტალიტარული, ცენტრალიზებული და მკაცრად იდეოლოგიზებული სისტემის ნაწილად, სადაც კულტურა თავისუფალი შემოქმედების სივრცე აღარ იყო. ის იქცა პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტად, რომლის მიზანიც იყო „საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბება და ეროვნული თვითშეგნების დასუსტება. ამ მიზნისთვის შეიქმნა მრავალსაფეხურიანი ადმინისტრაციული ზედამხედველობის სისტემა: 1922 წელს დაარსებული მთავლიტი (главлит) მცირე სამსახურისგან გადაიქცა უზარმაზარ აპარატად, რომელიც 1927 წელს 86 თანამშრომლიდან 1947 წლისთვის 6453-მდე გაიზარდა. 1923 წლის რეპერტკომმა თეატრი და მუსიკა სრულ კონტროლში მოაქცია, ხოლო კინემატოგრაფია 1924 წლიდან „გოსკინოსა“ და „სახკინოს“ ჰეგემონიას დაექვემდებარა, რაც კინოს აქცევდა „სწორი ისტორიისა“ და „სწორი გმირის“ იდეოლოგიური წარმოების ინსტრუმენტად. განათლებისა და კულტურის სამინისტროები მთლიანად ემორჩილებოდნენ პარტიას; კულტურის სახლები, სკოლები, ბიბლიოთეკები და პროფესიული დაწესებულებები - ერთიან იდეოლოგიურ ქსელს.

სისტემის ყველაზე მკაცრი ბერკეტი იყო რეპრესიები. 1937-1938 წლების დიდი ტერორი საქართველოში იყო ცენტრიდან დაგეგმილი და ბერიას მიერ მართული ოპერაცია: დაახლოებით 3700 ადამიანი გაასამართლეს, 3100 დახვრიტეს. დახვრიტეს ტიცინან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, ევგენი მიქელაძე; პაოლო იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს; მიხეილ ჯავახიშვილი წამებით მოკლეს; სანდრო ახმეტელი განადგურდა როგორც „სოციალურად სახიფათო ელემენტი“. მიზანი იყო არა მხოლოდ ინდივიდების, არამედ ეროვნული ინტელექტუალური გარემოს გატეხვა, შიშით, კონტროლითა და თვითცენზურით. „დათბობამ“

ფორმა შეცვალა, მაგრამ არა ფუნქცია: 1956 წლის შემდეგაც იკრძალებოდა რობაქიძე, ვაჟას შემოქმედების ნაწილი, „ეროვნული ღირიკა“; 1970-იან წლებში მთავლიტში მოქმედებდა სპეციალური განყოფილება „ქართული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ“. ამავდროულად საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა მასშტაბური, თუმცა მკაცრად იდეოლოგიზებული ინფრასტრუქტურა, თეატრები, ბიბლიოთეკები, ანსამბლები; „რუსთავი“ და „ერისიონი“ თავდაპირველად სწორედ საბჭოთა კულტურის ექსპორტის ინსტრუმენტები იყვნენ. საბჭოთა პოლიტიკის მთავარი პარადოქსი იყო კონტროლისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ერთდროული თანაარსებობა. და მიუხედავად ამისა, ფარული წინააღმდეგობა, პირადი არქივები, ხალხური სიმღერები, ინტელექტუალური წრეები, ხელნაწერი ტექსტების უხმო გადარჩენა იქცა მეხსიერების გადატანის არხად, ქართული კულტურის ძირითადი ღირებულებები შენარჩუნდა საბჭოთა ეპოქის ყველაზე მძიმე პირობებშიც.

1991-2004 - კოლაფსი, კულტურის სფეროს სტრუქტურული დაშლა

1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველომ პოლიტიკური ვაკუუმის პირობებში მიიღო, რომელიც საბჭოთა სისტემის დაშლამ დატოვა. სახელმწიფო, რომლის კულტურის პოლიტიკა წლების განმავლობაში მკაცრად იყო გაკონტროლებული ცენტრიდან, უცებ აღმოჩნდა სრულიად უწესრიგო, უკონტროლო და ინსტიტუციურად გაუმართავ გარემოში. პოლიტიკურ კრიზისს დაემატა ეკონომიკური კოლაფსი, სამოქალაქო ომი, ენერგეტიკული პარალიზება – ამ ვითარებაში კულტურული სფერო ერთ-ერთი პირველი გახდა, რომელმაც სახელმწიფოს ნგრევა საკუთარ სხეულზე გადაიტანა. 1990-იანი წლების რეალობა იყო კოლაფსის ისტორია. სამინისტროები პრაქტიკულად პარალიზებული იყო; სახელმწიფო ბიუჯეტი მინიმალურ საჭიროებებსაც ვერ ფარავდა; კულტურის დაფინანსება თითქმის ნულამდე შემცირდა. მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკები, არქივები და სახლები-გალერეები არსებობას არა სახელმწიფოს, არამედ თანამშრომელთა პირადი გმირობითა და პასუხისმგებლობით აგრძელებდნენ. ათბოდნენ ექსპონატებს, ხელფასის გარეშე დარაჯობდნენ შენობებს, დგამდნენ სპექტაკლებს და სხვა.

ამ წლებში კულტურული მემკვიდრეობა სრულიად დაუცველი დარჩა. მომრავლდა ქურდობა, ძვირფასი არტეფაქტების გაყიდვა, კოლექციების დაშლა, არქივების განადგურება, შემთხვევითი ხანძრები და ქურდობა, რომელთა აღრიცხვა დღემდე არ დასრულებულა. ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი გაიძარცვა; ფონდები არასაკმარისი ტენიანობის, ტემპერატურისა და ელემენტარული დაცვის პირობების გარეშე იშლებოდა; რეგიონებში კულტურის სახლები და სხვა მსგავსი დაწესებულებების უმეტესობამ დაკარგა ფუნქცია, ნაწილმა მთლიანად დაკარგა, ან სამშენებლო მასალე-ბად დაიშალა.

ამ პეროდში სახელმწიფოში არ არსებობდა კულტურის სფეროს გადარჩენის ხედვა ან სტრატეგია, ეს იყო პერიოდი, როდესაც კულტურის პოლიტიკა საერთოდ არ არსებობდა, არსებობდა მხოლოდ პოლიტიკური გადარჩენის მცდელობა და ყოველდღიური ბრძოლა მინიმალური სტაბილურობისთვის. ფაქტობრივად, 1991-2004 წლები იყო განადგურებული კულტურული ინფრასტრუქტურის ისტორია - პერიოდი, როდესაც საქართველოს კულტურულმა სისტემამ დაკარგა ის, რაც წლების განმავლობაში იყო დაგროვილი: სტაბილური ინსტიტუციური მეხსიერება, მმართველობითი ჩარხო, მატერიალური რესურსები და ყველაზე მთავარი, უსაფრთხო გარემო, სადაც კულტურა შეძლებდა არსებობას.

2004-2012 - რეფორმებისა და ფრაგმენტული

განვითარების პერიოდი

2004 წლის შემდეგ კულტურის სფეროში დაიწყო სწრაფი მოდერნიზაცია, რომლის მიზანი იყო ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის განმტკიცება. განახლებულმა სახელმწიფომ წამოიწყო ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული რეფორმები, მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, საგანმანათლებლო დაწესებულებების რესტავრაცია; შეიქმნა ეროვნული მუზეუმის ახალი სტრუქტურა, კინოცენტრი, მემკვიდრეობის სააგენტო. პირველად გაჩნდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვლევითი და ექსპოზიციური გარემო. თუმცა ფიზიკური განახლება წინ უსწრებდა შინაარსობრივ სისტემურ ცვლილებებს: მენეჯმენტის მოდელები, პროფესიული სტანდარტები, ადამიანური რესურსების განვითარება და კვლევითი მიმართულებები საკმარისად არ იცვლებოდა. სისტემა რჩებოდა ცენტრალიზებული, გა-

დაწყვეტილებები დაჩქარებული, ხოლო შიდა ინსტიტუციური რეფორმები, არასრულფასოვანი.

ამავე პერიოდში გაძლიერდა საერთაშორისო თანამშრომლობა, EU, UNESCO, ICOM, British Council, Goethe-Institut და სხვა ორგანიზაციები ქმნიდნენ მნიშვნელოვანი ხარისხის საგანმანათლებლო, მუზეუმურ და კულტურულ პროექტებს. თუმცა მათი მუშაობა პარალელური იყო და არა ინტეგრირებული სახელმწიფო პოლიტიკაში: strong დამოუკიდებელმა ინიციატივებმა, არტ-სივრცეებმა და თეატრალურმა ჯგუფებმა შექმნეს ინოვაციური კულტურული ველი, მაგრამ სისტემური მხარდაჭერის გარეშე. შედეგად ჩამოყალიბდა ორი პარალელური ეკოსისტემა, სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებიც, სტაბილური დაფინანსების მიუხედავად, ხშირად ინერტულად ვითარდებოდა, და დამოუკიდებელი სექტორი, რომელიც ენერგიული, მაგრამ არასტაბილური იყო. 2004-2012 წლების პერიოდი იყო ფიზიკური სივრცეების აღორძინების, თუმცა შინაარსობრივი და მმართველობითი სისტემების ფრაგმენტული განვითარების დრო: ინფრასტრუქტურა სწრაფად იზრდებოდა, ხოლო კულტურული პოლიტიკის საფუძველი, არასაკმარისად.

2012-2020 - სტაბილიზაცია, ინსტიტუციური ზრდა და არათანმიმდევრული განვითარება

2012 წლის შემდეგ კულტურის სფეროში ზრდამ და ინფრასტრუქტურულმა გაუმჯობესებებმა მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და მემკვიდრეობის სააგენტოს გაძლიერებამ შექმნა მნიშვნელოვანი რესურსი შინაარსობრივი განვითარებისათვის. ამავე პერიოდში დაიწყო პირველი სტრატეგიული მიდგომები: შეიქმნა „კულტურის კონცეფცია“ (2013) და ევროკავშირის მხარდაჭერით, „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელთა მიზანი იყო კულტურის ინტეგრაცია განათლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკებში. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, სტრატეგიული დოკუმენტების პრაქტიკული განხორციელება შეჩერდა ინსტიტუციური ცვლილებების, პრიორიტეტების ხშირი გადაღაგებისა და საკმარისი მექანიზმების არარსებობის გამო. ფიზიკური განახლება კვლავ უსწრებდა შინაარსობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს: მენეჯმენტის მოდელები, კვლევითი მიმართულებები და პროფესიული განვითარების სისტემები ნაკლებად იცვლებოდა, რის შედეგადაც

ახალი ინფრასტრუქტურა სრულფასოვან ინსტიტუციურ სისტემად ვერ ყალიბდებოდა.

ამავე წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი - EU, USAID, British Council, Goethe-Institut, OSF, UNDP და EUNIC ახორციელებდნენ კვლევებს, ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების პროგრამებს, რომლებიც ქმნიდა მნიშვნელოვანი ცოდნის ბაზას ქვეყნისთვის. თუმცა ამ ცოდნის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში სისტემურად ვერ მოხდა. მუნიციპალიტეტების დონეზე კულტურული დაწესებულებები ხშირად ფუნქციონირებდა შეზღუდული რესურსებით; მემკვიდრეობის დაცვაში იჩენდა თავს დაგეგმვისა და ზედამხედველობის პრობლემები; დამოუკიდებელი კულტურული ინიციატივები კი ვითარდებოდა ინოვაციურად, მაგრამ სტაბილური მხარდაჭერის გარეშე. შედეგად, 2012-2020 წლები დარჩა პერიოდად, როდესაც არსებობდა ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა, მხარდი ინფრასტრუქტურა და სტრატეგიული ხედვების საწყისი, მაგრამ ვერ კიდევ არ იყო საკმარისი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც ამ პოტენციალს გრძელვადიან, მდგრად სისტემად გარდაქმნიდა.

2020-2024 სტაბილურობის ილუზია

2020 წლის შემდეგ კულტურის სფეროში ფორმალურად გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რეაბილიტაციები და დიגיტალიზაციის პროგრამები, თუმცა ეს პროცესები მიმდინარეობდა პოლიტიკური არასტაბილურობისა და ზრდადი ადმინისტრაციული ინერციის პირობებში. შინაარსობრივი განვითარება კვლავ მოითხოვდა სტრატეგიულ ხედვას, მაგრამ პრაქტიკაში სფერო დამოკიდებული რჩებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მოკლევადიან პრიორიტეტებზე, ცვალებად გარემოზე.

კულტურის სამინისტრო კვლავ ხასიათდება სტრუქტურული და საკადრო არასტაბილურობით - ორგანიზაციული ცვლილებები, ხელმძღვანელების ხშირი ჩანაცვლება, პრიორიტეტების სწრაფი ცვლა. გრძელვადიანი პროცესები ვერ ყალიბდებოდა, დაგეგმილი ინიციატივები ხშირად დაუსრულებელი რჩებოდა. ინსტიტუციური მეხსიერების დეფიციტი გამწვავდა, პროექტები იწყებოდა ახალი ჯგუფებით, სრულდებოდა დაგროვილი გამოცდილების სისტემაში შენახვის გარეშე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გაგრძელდა 2012–2020 წლების პრობლემები: დაუმთავრებელი ინვენტარიზაცია, არასაკმარისი კვლევა, არათანმიმდევრული პრიორიტეტიზაცია. ისტორიულ სივრცეებში ინტენსიური მშენებლობა კვლავ აყენებდა კითხვებს სივრცითი დაგეგმვისა და მემკვიდრეობის დაცვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. რეგიონული ინსტიტუციები რჩებოდა მინიმალური დაფინანსებით, რაც ზღუდავდა მათ ფუნქციონირებას. რეაბილიტაციის პროცესები ხორციელდებოდა, მაგრამ პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები გაუმჭვირვალე იყო.

2020–2024 წლებში საერთაშორისო დონორები ისევ წარმოადგენდნენ კულტურის განვითარების მთავარ საყრდენს. EU, UNDP, USAID, EUNIC, Goethe-Institut, British Council განაგრძობდნენ პროფესიული განვითარების, კვლევების, დიגיტალიზაციისა და კულტურული მენეჯმენტის პროგრამებს. თუმცა 2023–2024 წლებში მიღებულმა კანონმდებლობამ და პოლიტიკური გარემოს ცვლილებებმა პირდაპირ იმოქმედა თანამშრომლობაზე: რამდენიმე საერთაშორისო სტრუქტურამ შეაჩერა ან გადააფასა პროექტები; ადგილობრივ ორგანიზაციებს გაუჭირდათ პარტნიორობების შენარჩუნება; დამოუკიდებელმა სექტორმა დაკარგა საერთაშორისო დაფინანსების არხები; გაძლიერდა გაურკვევლობა, რომელიც ბიუროკრატიულ პროცესებს აყოვნებდა. საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც წლების განმავლობაში ავსებდა სისტემურ ხარვეზებს, თავად აღმოჩნდა შეზღუდული პოლიტიკური გარემოს გამო.

არასტაბილური სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობამ და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო კულტურის სფერო განსაკუთრებით დაუცველი გახდა, კულტურის ინსტიტუციების მხარდაჭერა და დაფინანსება დამოკიდებულია პოლიტიკურ გარემოზე, სხვადასხვა ნიშნით დანიშნულ ხელმძღვანელობაზე.

დასკვნა

1918–2024 წლების საქართველოს კულტურის პოლიტიკა მოძრაობს თავისუფლებასა და კონტროლს შორის. პირველი რესპუბლიკა ქმნის კულტურული სახელმწიფოს საწყისებს; საბჭოთა პერიოდი აყალიბებს ძლიერ ინფრასტრუქტურას, მაგრამ ინტელექტუალურ ელიტას სისტემურად ანგრევს, 1937–1938 წლებში 3700 ადამიანი გასამართლებულთა შორის, 3100 დახვრეტილია, ხოლო

ცენზურის აპარატი ათწლეულებში ათასჯერ იზრდება. პოსტსაბჭოთა კოლაფსმა (1991-2004) კულტურა ინსტიტუციური ჩარჩოს გარეშე მიატოვა. 2004 წლის შემდეგ დაიწყო ფიზიკური აღდგენა, თუმცა ცვლილებები ძირითადად ინფრასტრუქტურაზე კონცენტრირდებოდა; 2012-2020 წლებში შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები („კულტურის კონცეფცია“, „სტრატეგია 2025“) ვერ იქცა მოქმედ პოლიტიკად ინსტიტუციური არასტაბილურობისა და პრიორიტეტების სწრაფი ცვლადობის გამო.

საერთაშორისო დონორებმა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნეს მნიშვნელოვანი კვლევები (2014, 2017, 2022), რომლებიც მიუთითებდა მმართველობის, ფინანსებისა და მონაცემების სისტემურ დეფიციტზე, თუმცა მათი რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკაში ვერ ინტეგრირდა. 2020-2024 წლების პოლიტიკური კრიზისი, ახალი საკანონმდებლო გარემო და დაზიანებული საერთაშორისო თანამშრომლობები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს კულტურის სექტორის დაუცველობას. საერთო პარადოქსი უცვლელია: ინფრასტრუქტურა ვითარდება, მაგრამ სისტემა – ნაკლებად; ცოდნა იქმნება, მაგრამ ინსტიტუციურ მეხსიერებად იშვიათად გარდაიქმნება. კულტურის მდგრადი განვითარება მომავალში დამოკიდებული იქნება სტრატეგიულ ხედვაზე, დემოკრატიულ ინსტიტუციებზე და იმაზე, თუ შეძლებს თუ არა სახელმწიფო ერთიანი, მდგრადი კულტურული ეკოსისტემის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bourdieu P., The Field of Cultural Production, Columbia, 1993.
- Colbert, F., Marketing Culture and the Arts, Montréal, 2012.
- European Union / EUNIC, Creative Europe Cultural Cooperation Reports, Brussels, 2022.
- Goethe-Institut, Mapping of Cultural and Creative Industries in Eastern Partnership Countries, 2018.
- UNESCO, Cultural Policy Review Guidelines, Paris, 2019.
- USAID, Municipal Cultural Resources: Signaghi Cultural Strategy Report, Tbilisi, 2014.

- World Bank, Creative Economy Outlook for Eastern Europe, Washington, D.C., 2021.
- Shatberashvili V., Cultural Policy of the Democratic Republic of Georgia (1918–1921), Tbilisi, 2023.
- მანდი ს., კულტურის პოლიტიკა, საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდი, თბილისი, 2001.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს კულტურის პოლიტიკის კონცეფცია, თბილისი, 2014.
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კულტურის სტრატეგია-2025, თბილისი, 2016.
- სათემო განვითარების ცენტრი (CDC), სათემო კავშირი „ნუკრიანი“ (CUN), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), სიღნაღი კულტურისათვის: მუნიციპალური კულტურული რესურსები, ISBN 978-9941-0-6807-2, 2014.
- ჭანტურიძე ს., ციციშვილი მ., სამხატვრო გალერეა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921). თბილისი, 2018.
- ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ჩანაწერი 1, საქმე 85-179.

თინათინ ხუციშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნაირა გალახვარიძე

რეზიუმე

სტატია განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორიულ საფუძვლებსა და მის განვითარებას ანტიკურ საბერძნეთში, განსაკუთრებით კი ათენში, როგორც დემოკრატიული მმართველობის მოდელის პირველ პრეცედენტს. ნაშრომი ეფუძნება სოლონის, კლაისთენესისა და პერიკლეს რეფორმების ანალიზს, რომლებიც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და კულტურული იდენტობის ურთიერთქმედების მნიშვნელოვან სა-

ფეხურებს. სტატიაში ხაზგასმულია კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენა როგორც მმართველობის ფორმირების, ისე დემოკრატიული საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესში. ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: ანტიკური ათენის გამოცდილება წარმოაჩენს კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის ინტეგრირებულ მოდელს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვე თვითმმართველობის თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები ანტიკურ პერიოდში: კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენის ანალიზი

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, ადგილობრივი თვითმმართველობა, „ოქროს ხანა“, ათენი, კულტურა, ეკონომიკა, სოლონი, კლაისთენესი, პერიკლე.

ნაშრომის დასაწყისშივე მინდა ყურადღება გავამახვილო პერიკლეს გამონათქვამზე, რომელიც შეიძლება დემოკრატიის ერთგვარ ლოზუნგად აღვიქვათ: „ჩვენი მმართველობა დემოკრატიად იწოდება, რადგან ძალაუფლება არ არის მცირეთა ხელში, არამედ უმრავლესობისა“.¹ ადგილობრივი თვითმმართველობის ფენომენის ჩამოყალიბების სიღრმისეული გააზრება ძველ საბერძნეთში

¹ Thucydides, The History, Book II, 1954, pg. 37.

წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი და კულტუროლოგიური კატეგორიის განვითარების პროცესში. იგი განუყოფლად უკავშირდება დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისას არსებულ ინსტიტუციურ და ღირებულებით საფუძვლებს, რაც განაპირობებდა მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ქმნიდა მდგრადი განვითარების წინაპირობებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი, გამოხატავს მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. მისი ისტორიული ევოლუცია ასახავს სახელმწიფოს, პოლიტიკური კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითად ტენდენციებს ანტიკურ ეპოქაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმალურ და არაფორმალურ მექანიზმებს, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც დემოკრატიული მმართველობის ორგანული შემადგენელი ნაწილი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაძლიერების ინსტრუმენტი.

ძველი ათენი წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრს, სადაც დემოკრატიული მმართველობის, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებისა და კულტურის განვითარების პროცესები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთქმედებაში მიმდინარეობდა. ათენში პოლიტიკური რეფორმები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მმართველობითი სისტემის გარდაქმნით, ისინი საფუძველს უყრიდნენ სოციალურ და კულტურულ ტრანსფორმაციებსაც.

სოლონის, კლაისტენესისა და პერიკლეს რეფორმები წარმოადგენდა ათენური პოლიტიკური და სოციალური სისტემის განვითარების სამ ძირითად ეტაპს: სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნას, დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუციონალიზაციასა და კულტურულ-ეკონომიკურ აყვავებას. თითოეული ეს ეტაპი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ათენური საზოგადოების სტაბილურობის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და კულტურული თვითშეგნების ფორმირების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთქმედება ანტიკურ პერიოდში წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების საფუძველს, რომელიც უზრუნ-

ველყოფდა მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას და დემოკრატიული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას.

ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საწყისი ფორმები უძველეს ცივილიზაციებში იღებს სათავეს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ძველი ბერძნული პოლისები (Polis), მაგალითი, სადაც მოქალაქეთა მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში წარმოადგენდა თვითმმართველობის საფუძველს. ათენში (ძვ. წ. V–IV სს.), ჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემა ეფუძნებოდა მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას საჯარო ცხოვრებაში, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური პასუხისმგებლობის თანაბარ განაწილებას.²

არისტოტელე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ათენური სახელმწიფო „ყველაზე მეტად ემყარებოდა მოქალაქეთა თანასწორ მონაწილეობას და საერთო კეთილდღეობის პრინციპს“. მისი აზრით, მოქალაქე იყო ის, ვინც მონაწილეობდა „სამართლიანად და თანასწორად ხელისუფლების განხორციელებაში“. სწორედ ეს პრინციპი გახდა საფუძველი იმ იდეისა, რასაც დღეს ვუწოდებთ ადგილობრივ თვითმმართველობას, მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება მოსახლეობის უშუალო ან წარმომადგენლობითი გზით.³

მიუხედავად იმისა, რომ ათენური დემოკრატია არ მოიცავდა ყველა სოციალურ ფენას (მაგალითად, ქალებსა და მონებს არ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები), მისი მმართველობითი მოდელი იყო პირველი სისტემური მცდელობა, შექმნილიყო ადგილობრივ დონეზე თვითმმართველი საზოგადოება, რომელიც თავად განსაზღვრავდა საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას.

ამგვარად, ძველი საბერძნეთის პოლისები და განსაკუთრებით ათენი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ფილოსოფიური და ინსტიტუციური წინამორბედი, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც შუა საუკუნეების ევროპულ ქალაქებზე, ასევე თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებზე.

2 Aristotle, *The Politics*, 1948, pp 7–8.

3 Ibid., pp. 212–215.

დემოკრატიის (demos – ხალხი, kratos – ძალაუფლება), როგორც მართვა – გამგეობის სისტემის, ჩამოყალიბება ძველ საბერძნეთში იონიის ქალაქებში მოხდა, თუმცა, კლასიკურ ფორმას (ბალკანეთზე) ათენში მიაღწია.⁴

ათენში დემები გაერთიანებული იყვნენ ტრიტიებში (trittyes), ხოლო ტრიტიები ტომებში. თითოეული ტომი წარადგენდა 50 წევრს ბულეში (βουλή 500), რომელიც წარმოადგენდა ცენტრალურ სამმართველო ორგანოს და ამზადებდა საკითხებს სახალხო კრებისთვის, ეკლესიისთვის (Ekklesia). სწორედ ამ სისტემამ შექმნა პოლიტიკური ბალანსი მოქალაქეთა შორის, რაც თანამედროვე თვითმმართველობის პროტოტიპად იქცა.⁵

ბერძნული ცივილიზაციის აყვავების ხანაში ათენმა არსებითი როლი შეასრულა ელინური სამყაროს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ათენმა მიაღწია გამორჩეულ პროგრესს ლიტერატურის, ფილოსოფიის, რიტორიკის, ხელოვნებისა და ისტორიის სფეროებში, რაც განაპირობებდა მისი კულტურის უნივერსალურ მნიშვნელობას ანტიკურ სამყაროში. ათენური საზოგადოების ისტორიული განვითარება ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური სტაბილურობა და კულტურული აღმავლობა ერთმანეთზე მჭიდროდ დამოკიდებული პროცესებია. სოლონის ეკონომიკურმა რეფორმებმა შექმნა სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ბალანსის საფუძველი; კლასთენესის პოლიტიკურმა გარდაქმნებმა დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაცია და მოქალაქეობრივი კულტურის დამკვიდრება უზრუნველყო; ხოლო პერიკლეს მმართველობამ აღნიშნული პროცესები კულტურულ და ეკონომიკურ აყვავებად გარდაქმნა, რითაც ათენი გადაიქცა ანტიკური დემოკრატიისა და ინტელექტუალური წინსვლის სიმბოლოდ.

სოლონის მმართველობის პერიოდში (დაახლოებით ძვ. წ. 638–558 წწ.), რომელიც ცნობილია როგორც გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და რეფორმატორი, განხორციელებულმა რეფორმებმა გარდამტეხი მნიშვნელობა შეიძინა ათენური პოლისის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მისი რეფორმების ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოციალური უთანასწორობის შემცირება, ვალის მონობის გაუქმება და სახელმწიფოს ეკონომი-

4 ქავთარია, დემოკრატია, 2005, გვ. 113.

5 Hansen, The Athenian, 1991, pp. 57-63; 130-134.

კური საფუძვლების განმტკიცება. აღნიშნულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სოციალური სტრუქტურის დაბალანსებასა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, რაც დემოკრატიული მმართველობის განვითარების წინაპირობად იქცა.⁶

ეს არის ეპოქა, როდესაც ეკონომიკურმა სტაბილურობამ საფუძველი ჩაუყარა ათენური საზოგადოების კულტურულ და ინტელექტუალურ წინსვლას. სოლონის რეფორმებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა კანონის უზენაესობისა და მოქალაქეობრივი ვალდებულებების კულტურის განმტკიცებას, რაც პოლიტიკურ თვითშეგნებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას ამაღლებდა. ამ რეფორმატორული პროცესის გაგრძელებას წარმოადგენდა კლასთენესის გარდაქმნები (ძვ. წ. 508–507 წწ.), რომელთა მთავარი მიზანს არისტოკრატიული გავლენის შემცირება, მოქალაქეთა თანასწორობის განმტკიცება და დემოკრატიული ინსტიტუტების ინსტიტუციონალიზაცია წარმოადგენდა.

ძვ. წ. VI–V საუკუნეებში ათენში პოლიტიკური სისტემა გამოირჩეოდა არისტოკრატიული კლანების მაღალი გავლენით. არსებული სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირებები ხელს უშლიდა ქალაქის სახელმწიფოებრივი მოწყობის განმტკიცებას და მოქალაქეთა ფართო ფენის ჩართულობას მმართველობის პროცესში. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კლასთენესის რეფორმებმა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ათენურ დემოკრატიას და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას.⁷

კლასთენესი (დაახლოებით ძვ. წ. 570–568წწ), წარმოშობით არისტოკრატიული ალკმეონიდების გვარის წარმომადგენელი, მიუხედავად სოციალური წარმომავლობისა, ათენში რადიკალური პოლიტიკური გარდაქმნების ინიციატორად და დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ ფუძემდებლად იქცა. მისი რეფორმების მთავარი მიზანი იყო არისტოკრატიული დომინაციის შეზღუდვა, პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება და ხელისუფლების ბალანსის დამყარება სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის. აღნიშნულმა გარდაქმნებმა შექმნა წინაპირობა თანამედროვე ტიპის ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებისთვის, როგორც

6 Finley, Democracy, 1981 pp. 29-46.

7 ცნცაძე, დემოკრატიის, 2017, გვ. 87-94.

საზოგადოებრივი მოწყობის ფუნდამენტური ელემენტისა და მოქალაქეთა თანასწორი წარმომადგენლობის მექანიზმისთვის.

კლასთენესის რეფორმები განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევა ათენის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. მან გააუქმა ტრადიციული კლანურ-გენეალოგიური დაყოფა და ჩამოაყალიბა ათი ახალი ტომი (phylai), რომელთაგან თითოეული შედგებოდა სამი ტრიტიისგან (trittyes), რომლებიც მოიცავდნენ ქალაქის, ზღვისპირა და შიდა პერიფერიული რეგიონის ტერიტორიებს. ამგვარი ტერიტორიული პრინციპით ორგანიზებამ ხელი შეუწყო პოლიტიკური გავლენის დეცენტრალიზაციას, მოქალაქეთა თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში და დემოკრატიული მმართველობის სტრუქტურული საფუძვლების განმტკიცებას.⁸

კლასთენესის რეფორმების მიზნები:

1. არისტოკრატიული კლანების გავლენის შემცირება;
2. მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა;
3. დემოკრატიული მმართველობის განმტკიცება ადგილობრივი ერთეულების მეშვეობით.

დემების, ტრიტიებისა და ტომების ახალი სისტემა უზრუნველყოფდა ხელისუფლების სამართლიან განაწილებასა და მოქალაქეთა თანასწორ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამგვარად, კლასთენესის განხორციელებული რეფორმები არა მხოლოდ ათენური დემოკრატიის საწყისს წარმოადგენდა, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორიულ პროტოტიპადაც იქცა, რომელმაც შემდგომში დასავლური პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ანტიკური ათენის კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენის ანალიზი აჩვენებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა, კულტურისა და ეკონომიკის ერთობლივი გავლენით, ქმნიდა მდგრად, ბალანსირებულ და ინკლუზიურ პოლიტიკურ სისტემას. კულტურული აქტივობები და ეკონომიკური სტრუქტურები არა მხოლოდ ახორციელებდნენ ადგილობრივ გადაწყვეტილებებს, არამედ ზრდიდნენ მოქალაქეთა პასუხისმგებლობას, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებდა დემოკრატიული მმართველობის ხარისხს

⁸ გობრონიძე, ძველი, 2010, გვ. 112-119.

და უზრუნველყოფდა ქალაქის გრძელვადიან განვითარებას.

ადგილობრივი თვითმმართველობა ანტიკურ ათენში წარმოადგენდა სამართლებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტს, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ გადაწყვეტილებებში. ამ პერიოდში თვითმმართველობა ვერ იქნებოდა განწყობილი მხოლოდ პოლიტიკური ჩართულობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების მიხედვით, მას თან ერთვოდა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედებაც, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქალაქის პოლიტიკური სტაბილურობის, სოციალური თანასწორობისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.

განვიხილეთ რა კლასთენესის შეხედულებები ადგილობრივი თვითმმართველობების საწყისებთან მიმართებით, მართებულად მიმაჩნია გადავიდეთ პერიკლეს ხანაზე, რომელმაც ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი თვითმმართველობის საწყისების ფორმირებაში. პერიკლეს მმართველობის ხანა (ძვ. წ. 461–429 წწ.) წარმოადგენს ათენური ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს ეტაპს, რომელიც დასავლური კულტურის შემდგომი ევოლუციის საძირკვლად იქცა. აღნიშნული პერიოდი ცნობილია როგორც ათენის „ოქროს ხანა“, რომელიც გამოირჩეოდა კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურისა და ინტელექტუალური ცხოვრების უპრეცედენტო აყვავებით. პერიკლემ გაატარა ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა, რომლის შედეგად აშენდა პართენონი, პროპილეა, ერექტეიონი და სხვა მონუმენტური ნაგებობები აკროპოლისზე. აღნიშნულმა პროექტებმა ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების ზრდას და ათენის პოლიტიკური ძლიერების დემონსტრირებას.⁹

პერიკლემ სრულად გააცნობიერა კულტურის პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა, რის შედეგადაც კულტურა იქცა სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად. მისი მმართველობის პერიოდში ხელოვნება, განათლება და საზოგადოებრივი დისკუსია განიხილებოდა როგორც დემოკრატიული მოქალაქეობის განმტკიცების ძირითადი მექანიზმები.¹⁰ პერიკლე მოქალაქეობრივ ვალდებულებად მიიჩნევდა კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობას – თეატრალურ წარმოდგენებში, ფესტივალებში, საჯარო დებატებსა

9 Finley, Democracy, 1981, pp. 65–80.

10 გოგინაშვილი, ძველი, 2017, გვ. 89–104.

და განათლების პროცესში. ამ კონტექსტში განათლება (paideia) აღიქმებოდა არა მხოლოდ როგორც ცოდნის მიღების საშუალება, არამედ როგორც მოქალაქეობრივი თვითშეგნების ფორმირების გზა.

პერიკლეს პოლიტიკა კულტურას იყენებდა სოციალური ერთიანობისა და დემოკრატიული იდენტობის განმტკიცების ინსტრუმენტად. სახელმწიფო აფინანსებდა თეატრალურ ფესტივალებს, განსაკუთრებით დიონისიას, სადაც ტრაგედიის ჟანრმა ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედების საფუძველზე შეიძინა ფილოსოფიური და მოქალაქეობრივი განზომილება. ტრაგედიები ასახავდნენ ეთიკურ დილემებს, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს გამოხატავდა.

ამრიგად, პერიკლეს მმართველობის ეპოქა შეიძლება ჩაითვალოს პირველ პრეცედენტად, როდესაც კულტურა და ეკონომიკა სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ კომპონენტებად იქცა. კულტურული ღონისძიებები: ფესტივალები, თამაშები, თეატრალური წარმოდგენები აყალიბებდა საერთო იდენტობას, ამაღლებდა კოლექტიურ პატრიოტიზმს და განამტკიცებდა იმ მოქალაქეობრივ თანასწორობას, რომელიც ათენური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენდა.¹¹

ანტიკური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კულტურისა და ეკონომიკის ჰარმონიული ურთიერთქმედება ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების საფუძველს ქმნიდა, რაც უზრუნველყოფდა მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას, სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებასა და დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას.

სოლონის, კლაისტენესისა და პერიკლეს რეფორმების მაგალითი აჩვენებს, რომ დემოკრატიულ გარემოში პოლიტიკური გადაწყვეტილებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასა და განათლების განვითარების ხელშეწყობასთან. პერიკლეს მმართველობის პერიოდში კულტურა აღიქმებოდა არა მხოლოდ ესთეტიკურ ღირებულებად, არამედ დემოკრატიის განმამტკიცებელ და მოქალაქეობის განსაზღვრელ ელემენტად, რაც კლასიკური მოდელი გახდა კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიული მაგალითისთვის.

¹¹ მეტრეველი, ძველი, 2007. გვ. 145-160.

შუა საუკუნეების ევროპისა და საქართველოს ადრეული ქალაქების გამოცდილება ხაზს უსვამს, რომ თვითმმართველობის ფორმები ხელს უწყობენ ეკონომიკურ განვითარებას, სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებას და მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტისა, თვითმმართველობის ამ ფორმებმა შექმნეს წინაპირობა თანამედროვე დემოკრატიული და ეფექტიანი მუნიციპალური მმართველობის ჩამოყალიბებისთვის.

მთლიანობაში, ანტიკური და შუა საუკუნეების მაგალითები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა მოქმედებენ თანმიმდევრულად და ჰოლისტურად. აღნიშნული ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს მნიშვნელოვან მოსაზრებას თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკის ფორმირებისათვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც კულტურული მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ინდუსტრიები წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წყაროს.

დასკვნა

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კულტურასა და ეკონომიკას შორის ურთიერთქმედება არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ რეკონსტრუქციის ან მატერიალური ურთიერთდამოკიდებულების ჩარჩოში. იგი წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ჰოლისტურ სისტემას, სადაც ეკონომიკური წინსვლა და კულტურული თვითშეგნება სინერგიულად მოქმედ პროცესებად გვევლინება. ამ ურთიერთობის სიღრმისეული გააზრება არსებით მნიშვნელობას იძენს თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკის ფორმირებაში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთათვისაც კულტურული მემკვიდრეობა და შემოქმედებითი ინდუსტრიები ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

სოლონის, კლავსთენესისა და პერიკლეს რეფორმების ანალიზი ნათელს ჰფენს, რომ კლასიკურ ათენში ეკონომიკური და კულტურული განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული მმართველობის პრინციპებთან. სოლონის ეკონომიკურმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის იდეებს, კლავსთენესის პოლიტიკურმა გარდაქმნებმა კი უზრუნველყო მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა სახელმწიფო მმარ-

თველობაში. ამ პროცესების კულმინაციად პერიკლეს ეპოქა იქცა, როდესაც დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებამ ხელი შეუწყო კულტურულ აღმავლობასა და ინტელექტუალური შემოქმედების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გობრონიძე გ., ძველი საბერძნეთის პოლიტიკური ისტორია, თბ., 2010.
- გოგინაშვილი გ., ძველი ბერძნული პოლიტიკური აზროვნება, თბ., 2017.
- კლდიაშვილი ა., ანტიკური საბერძნეთი, თბ., 2014.
- მეტრეველი რ., ძველი საბერძნეთის ისტორია, თბ., 2007.
- ცინცაძე ნ., დემოკრატიის წარმოშობა და ანტიკური პოლიტიკური მემკვიდრეობა, თბ., 2017.
- ქავთარია გ., დემოკრატია ძველ საბერძნეთში, თბ., 2005.
- Aristotle, The Politics, Book IV, Translated by Barker E., Oxford, 1948.
- Encyclopedia Britannica, Commune. <https://www.britannica.com/topic/commune-medieval-Western-Europe> 04/11/2025.
- Finley M. I., Democracy Ancient and Modern, New Jersey, 1981.
- Hansen M. H., The Athenian Democracy in the Age of Demosthenes, Structure, Principles, and Ideology, Oxford, 1991.
- Thucydides, The History of Peloponnesian Wars, Translated by Warner R., Book II, London, 1954.

THEATROLOGY

Tamta Tavidshvili,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
PhD student, Faculty of Drama,
Assistant Professor

INTEGRATING THE FELDENKRAIS METHOD AND PSYCHO- PHYSICAL EXERCISES INTO ACTOR TRAINING

Keywords: muscle memory, psychosomatic movement, body, body preparation, conscious, emotional self-expression.

Abstract

The role of the body in theatrical art has long been recognized as a primary instrument through which actors express inner states via physical movement. Contemporary theatre practice, however, emphasizes a deeper understanding of how bodily awareness can become a source of creative transformation. The Feldenkrais Method, developed by Moshe Feldenkrais, addresses this need through two core components: Awareness Through Movement (ATM) and Functional Integration (FI). Both approaches aim to harmonize physical movement with psycho-emotional states, offering critical benefits for actors' physical and psychological preparation.

A central value of the Feldenkrais Method is its conceptualization of the body not merely as a biological mechanism, but as a platform of consciousness that continuously adapts and integrates new experiences. This approach transcends traditional physical exercises, focusing on awareness development. Kampe describes Feldenkrais as a complex resource that fosters not only physical but also emotional and creative self-awareness, making it especially effective for performers.

The ATM module typically involves group practice, creating a shared experience where participants simultaneously develop flexibility and conscious movement. Such group exercises enhance

improvisational skills and collaborative interaction, vital for acting. Nelson and Blades-Zeller highlight that integrating Feldenkrais in voice work demonstrates improved harmony between movement and vocal control, expanding the actor's expressive range.

The FI module is individual and tailored, addressing personal needs and physical limitations. This is particularly important for actors, as personal injuries or muscular tension often impede full physical expression. Igweonu's research confirms that individualized Feldenkrais practice successfully promotes self-awareness and releases physical blocks in theatre students.

A key principle of the method is prioritizing movement quality over physical effort, contrasting traditional theatre exercises that often emphasize endurance. Elgelid and Kresge note that this focus on harmonious movement and conscious control represents Feldenkrais's main innovation.

Integration of breath and voice is essential for organic role performance. Kelton emphasizes that ATM exercises, designed around breath and movement, are particularly beneficial for voice work, enabling actors to manage vocal expression while conveying emotional states authentically. Furthermore, Feldenkrais promotes creative freedom and spontaneity, essential in contemporary performance contexts (Rahir).

For actors, the body is a carrier of emotions. Feldenkrais practices link conscious movement to emotional intensity, ensuring that physical actions reflect inner experience. Sholl asserts that such practice fosters the connection between body and creative expression, enabling the development of a „physical narrative“ on stage.

Incorporating Feldenkrais theoretically and practically into actor training demonstrates its universality. Chambers-Ozasky found that using the method increased both physical freedom and creative discipline in students, directly benefiting their performance work. The combination of ATM and FI creates a unique synthesis of group and individual practices, allowing actors to develop flexibility, movement awareness, and overcome personal challenges.

Integrating psychophysical exercises into actor training is a critical challenge in contemporary pedagogy. Theatre education

today requires systems that support bodily freedom, psychological stability, and creative self-expression. Psychophysical practices expand awareness, enabling students to work with internal barriers and gradually gain inner freedom. Batzoglou's experimental studies highlight the effectiveness of integrated approaches, which address emotional, physical, and intellectual components simultaneously, facilitating organic stage presence.

Such exercises also foster emotional intelligence, a core skill for actors. Corwin emphasizes that actor training methods like Meisner's focus on responding to partners' emotional reactions, underlining the need for psychophysical integration in curricula. The Alexander Technique further complements Feldenkrais, enhancing control over body dynamics and mitigating stress and fatigue (Kildow).

Psychophysical practices can also adapt to virtual and digital learning environments, as Larimer notes, requiring only internal concentration rather than physical co-presence. Ethical and mental health considerations further justify their integration, with Leeman highlighting the often-overlooked importance of psychological well-being in high-pressure training environments.

Beyond theatre, these approaches are effective across artistic disciplines. Noulis demonstrates how Feldenkrais and Rolfing enhance musical performance, confirming their universality. Meditation and consciousness-focused exercises enrich the training, improving concentration and enabling internal transformation (Page).

In conclusion, integrating Feldenkrais and psychophysical exercises into actor training is a complex, multi-layered process addressing technical, psychological, ethical, and philosophical demands of contemporary theatre education. These methods transform actor preparation from a synthesis of text and movement into a holistic process of personal and creative transformation.

Tamar Tsagareli,
PhD. Associated Professor, Art Sciences, Media and Management
Faculty Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
Tbilisi (Georgia).

Scientist-researcher of the Union of Tbilisi Municipal Museums

THEATRE OR RELIGION

(German Jesuits on Drama and Theater)

Keywords: Religion, German Jesuits, Drama, Theater, Theory, Artistic science.

Abstract

History tells us that in Europe, the Jesuit (a Christian religious order of the Roman Catholic Church, directly subordinate to the Pope. The so-called «Society of Jesus.» As is known, the Jesuit Order was created in the 16th century. The Jesuits were actively involved in science, education, and missionary work.) Theater was formed in order to propagate Catholic ideas and dogmas. It existed from 1555 to 1773 as one of the branches of the school theater. The Jesuit theater had its own strictly canonized aesthetics, the founders of which were Jacobus Pontanus – a German Jesuit, writer and humanist – with his „Poetics“ (the date of creation is unknown) and Franziska Lang – a figure in the German theatrical society, a representative of the Jesuit theatrical school – who, in 1727, created a theoretical work, the so-called treatise – „Discussions on Stage Performance“.

So, what is the Jesuit theoretical work on theatrical art?

In his works, «Poetics,» Jacobus Pontanus acknowledges the aesthetics of the Jesuits, while, on the other hand, «revives» Aristotle's thought and relies on the ancient Greek philosopher's view of the stages of tragedy's development. For him, tragedy is a poetic work that «presents to us through the actors the misfortunes of famous people in order to arouse sympathy and fear and thereby free people from the spiritual turmoil that is the source of such tragic behavior.»

It is noteworthy that the Jesuit theorist also focuses on a genre that was less acceptable to the representatives of their order. This is comedy. Jacobus Pontanus believes that comedy is a dramatic work, where for the purpose of household education, without not very funny jokes and wit, one or another incident from the life of the population is presented by imitation. Attributing educational significance to comedy already meant a striving for the so-called «high comedy» and intensifying it with satirical elements. Here, enlightened tendencies are clearly visible.

After a brief description of the genres of tragedy and comedy, the aesthetician presents his view on the characteristics of the tragicomedy genre. In his opinion, this is a mixture of comedy and tragedy, since, contrary to the laws of comedy, characters are drawn here from a high circle and, accordingly, nobles. It can be said that tragicomedy is a tragedy with the opening of the knot intended for comedy, that is, with a cheerful, so-called «Happy Ending.»

Obviously, Jacobus Pontanus is far from the modern understanding of tragicomedy, according to which a tragicomedy is considered a dramatic work where the poetics of the conflicts are simultaneously tragic and comic, and the finale is inevitably tragic.

However, one detail is noteworthy here: the tragicomic situation arises not among fools and scoundrels, but in a rather «pretentious» environment, and this law remains «impenetrable» to this day.

Pontanus boldly acknowledges the “birth” of a new genre – comedy-tragedy. He considers it possible to create it, where the knot would be untied by the death of the hero. It is worth considering the fact that the misfortunes and misfortunes of insignificant people are neither remembered nor aroused in us by spiritual movements. According to the author, this is precisely the reason why such works are nowhere to be found. Here, Pontanus once again emphasizes the fact that a tragic situation is suitable only for representatives of the upper class, and comedy – for the vulgar – for the common people; that it would be uninteresting for the common people to end their ridiculous story tragically. Obviously, this point should be taken into account when discussing the genre of comedy.

Also important are Franzisk Lang’s views on the art of acting. He was the first in Germany to formulate the norms of an actor’s

behavior on stage. What is stage performance and how important is it? Lang calls stage performance the appropriate (in each particular case – T.Ts.) movement of the entire body and voice with the aim of evoking this or that affect in the audience. The author does not specify how the relationship of body and voice to the character is achieved, but the requirement itself makes us think that the actor's transformation into the role through the use of acting techniques is implied here.

This assumption is supported by his own opinion that, like other fields of science and craft, where natural data are refined by the help of skill, the same applies to stage performance. So, talent alone is of no use in stage performance. It is necessary to study with observation and much thought in order to first imagine what the behavior of a given person should be, and then we should strive to convey them in movement and voice. This is the field of skill.

Here, there is a clear reference to the special importance of imagination in the process of working on a role, and the importance of movement and voice modulation in the process of revealing the character of the hero is again emphasized.

What is the origin of stage performance and how should the parts of the body be adapted to the stage? The author asks and, himself, answers, referring to that common teacher, nature, and then to the sculptures and paintings of the best artists, which are recognized everywhere, especially in Rome, the actor can come to the final result by observing and analyzing them.

Franzisk Lang, in his treatise – «Discussions on Stage Performance» – describes the practice when in the process of transformation the artist relies not only on his own imagination, but also on works of nature and fine art, although he himself gives advice and considers it important to train the feet and the legs themselves, then the knees and the position of the feet, that is, postures, steps and movements of the legs, then the hips and torso, then the hands, arms and wrists, then the neck, head, face and eyes. In fact, Lang, with a separate list of body parts, gives instructions for training the whole body.

Such attention to plastic components is a kind of sign of classicist aesthetics, because, as we recall, such attention to skirts is not found anywhere else. However, this part of the portrayal in the plastic

understanding of the role is truly crucial.

Interestingly, the Jesuit theorist's advice on auxiliary means in dramatic art: from the choregy, or stage director, he demands that, in addition to natural dexterity, he also requires talent, without which one cannot achieve anything in this field, «The choregy must first of all be a poet and a good Latinist; he must have a vivid imagination; he must be a great psychologist, an outstanding actor, and an experienced craftsman.»

The choreogy must also be an actor and must have his own knowledge of the rules of the game. He must not only know these rules, but also be able to show them”.

It is a fact that the ideas of drama or theater are limited by their time and era, but there are also immutable artistic laws, and the purpose of stage theory is to focus attention on them.

